სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 13 ნოემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერისათვის [illegible] უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „[illegible]" გამოუგზავნელად ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.
რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 245 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 245

6 ნოემბერს, ქ. ფოთში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების დირექტორი

თადეოზ გიორგის ძე ქეშელავა,

რასაც ღრმის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებულის დედა კესარია, მეუღლე ბარბალე (მაშო), შვილები: გიორგი და დარია და ძმები: თომა და ვიქტორი გიორგის ძენი ქეშელავები. პანაშვიდი ყოველ-დღე საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში 13 ნოემბერს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. 2—2

დამწუხრებული და—თამარა აბრამის ასული და ალექსანდრე იოსების ძე ყილაშვილები შვილებითურთ, აუწერელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 9 ნოემბერს სოფ. მაღაროში საკუთარ სახლში უდროოდ გარდაიცვალა მე-79 კურინის პოლკის ყოფილი ოფიცერი

სერგო (სერიოჟა) აბრამის ძე ნასიძე.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 13 ნოემბერს, სოფ. მაღაროში, საგვარეულო ეკლესიაში.

გულდათუთქულნი მშობელი ნინო ლევანის ასული, მეუღლე ნატალია ნიკოლოზის ასული, ძმები: ვლადიმერ და ივანე აბრამის ძენი, რძლები: ნინო იონათეს ასული და ნინო ივანეს ასული ნასიძენი ღრმისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 9 ნოემბერს სოფელ მაღაროში (სიღნაღის მაზრა) საკუთარ სახლში უდროოდ გარდაიცვალა მე 79 კურინის პოლკის ყოფილი ოფიცერი

სერგო (სერიოჟა) აბრამის ძე ნასიძე.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 13 ნოემბერს, სოფ. მაღაროში, საგვარეულო ეკლესიაში.

ქ. ქუთაისში უდროოდ გარდაიცვალა

ილია (ილიკო) ლაზარეს ძე მიქაძე,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ განსვენებულის ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გაუბედურებული მეუღლე მისი რუსუკა, ძმა იაკინთე და ყველა მისი ახლობელი პირისუფალნი და ნათესავნი. დაკრძალვა და დროებით დასაფლავება მოხდება ქ. ქუთაისში, ხუთშაბათს, 14 ნოემბერს.

ღრმად დამწუხრებული შვილები: გიორგი და კარპეზ დავითის ძე მგალობლიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს დაუვიწყარი დედის

პელაგია მგალობლიშვილის

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავების დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, სოფ. ბჟოლიეთში წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში.

ომის დასასრული და რუსეთის ბედი

საერთაშორისო ომი ორი კოალიციის დროშის ქვეშ დაიწყო და ამავე დროშის ქვეშ მიმდინარეობდა მთელი ოთხი წლის განმავლობაში. აღნიშნულ ორ კოალიციას ორი მთავარი აქტიორი ხელმძღვანელობდა: ერთის მხრით გერმანია, ხოლო მეორე მხრით ინგლისი. დანარჩენი სახელმწიფონი ფაქტიურათ უბრალო დამხმარის როლს ასრულებდნენ, ასე ვთქვათ „ხარბაზნის ლუკმას" წარმოადგენდნენ ინგლის-გერმანიის შორის. მიუხედავათ იმ ლამაზ და სათნოებით ალესილ ლოზუნგებისა, რომელიც ინგლის გერმანიის მსგავსათ მათ ფეხის ამყოლმა სახელმწიფოებმა წამოაყენეს, ომის მიზანი აშკარა და ნათელი იყო: უნდა გაემარჯვნა და საერთაშორისო ბაზარზე გაბატონებულიყო ან ერთი ან მეორე კოალიცია, ან ინგლისს და მის მოკავშირეთ უნდა დარჩენოდა ბაზარი და მოედანი, ან გერმანიას და მის მოკავშირეებს.

მაგრამ ომის ამ ფარგლებში დაბოლოვება შეუძლებელი იყო. მეომარ კოალიციებს მეთაურობდა ბურჟუაზია, რომელიც ბურჟუაზიულ კონკურენციის პრინციპს ემყარებოდა. და ერთი კოალიციის გამარჯვება იქნებოდა მეორე კოალიციის სრული დამარცხება და განადგურება, ეს უკანასკნელი გარემოება კი გამოიწვევდა მთელი დედამიწის ზურგზე ერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნას. თავის დროზე ინტერნაციონალი იმდენათ უძლური გამოდგა, რომ ვერ შესძლო ომის დაწყებისთვის ხელი შეეშალა.

ეს საკითხი რუსეთის რევოლიუციურმა დემოკრატიამ წამოაყენა: „დემოკრატიული ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე—ასეთი იყო ის დიდებული ლოზუნგი, რომელიც პეტროგრადის დეპუტატთა საბჭომ წამოაყენა და რომელსაც მთელმა დემოკრატიამ დაუჭირა მხარი, მაგრამ ეს თავისთავად სწორი ლოზუნგი შეიცავდა პრაქტიკულ შეუძლებლობას. საერთაშორისო დემოკრატიას არ შესწევდა იმდენი ძალა და გავლენა, რომ ბურჟუაზია დაემორჩილებია, უამისოდ კი შეუძლებელი იყო ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარება, მისთვის ხორცის შესხმა.

ამ სასწაულის მოხდენა თავს იდვა იმ ჯგუფმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ლენინი: მან შესაძლებლად დაინახა ჯერ რუსეთში მოეხდინა სოციალისტური გადატრიალება, რომელიც შემდეგ მთელს ევროპას უნდა მოსდებოდა. ამის შედეგი ჩვენ უკვე ვიცით: ლენინმა ვერ დაამყარა რუსეთში სოციალიზმი; მან, მართალია, საერთაშორისო ომის ფერხულიდან გამოიყვანა რუსეთი, მაგრამ თითონ რუსეთში გაჩნდა რამდენიმე ფრონტი და თუ ბოლშევიკურ „ზავის" შეკვრამდი გერმანია იჭერდა ერთი მეორეზე რუსეთის ტერიტორიებს, „ზავის" შემდეგ რუსეთს მისი ყოფილი მოკავშირენი—ინგლისი და იაპონია შეესივნენ.

დღეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა: გერმანიაში მილიტარიზმს და პრუსიის ფეოდალიზმს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა იქაურმა დემოკრატიამ, მუშათა კლასის მეთაურობით. როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, გერმანიაში მონარქია მოსპობილა და რესპუბლიკური წყობილება შემოუღიათ. დიდი მღელვარებაა დემოკრატიისა აგრეთვე ინგლის საფრანგეთში და ავსტრიაში. ძლიერებულ კლასების გავლენა ირყევა და მის ადგილას იზრდება ძალა და გავლენა დემოკრატიისა. მაგრამ ეს უკანასკნელი არ არის იმდენათ ძლიერი, რომ ერთბაშათ რეორგანიზაცია მოახდინოს მთელს მსოფლიოში. მით უფრო უძლური იქნება საერთაშორისო დემოკრატია გაამთელის რუსეთი, რომელიც ანარქიას და სამოქალაქო ომის ალს მოუცავს. ბევრი ავანტიურისტი და სოციალისტურ სამოსელში გახვეული იმპერიალისტი ინგლის-ამერიკისაგან მოელის რუსეთის აღდგენას. ამის საფუძველს თითქოს ვილსონის ნოტაც იძლევა. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ბურჟუაზიამ უკვე დაჰკარგა ის შეუზღუდავი ძალა უფლება, რომელიც მას დღემდე ჰქონდა და ამერიკა ვერ ითამაშებს უკონტროლო დირიჟორის როლს. აღდგენა რუსეთის ძველ საზღვრებში არავითარ ძალას არ შეუძლია. პირიქით პრესა ჩვენ ცნობებს გვაძლევს იმისას, რომ გარეშე სახელმწიფოების ჩარევა უნდა მოხდეს რუსეთის საშინაო საქმეებში. როგორც ვიცით, ბალტიის მხარედან გერმანიას ჯარები გაჰყავს, მაგრამ სახელმწიფოებს სამართლიანი შიში ეძლევათ—ვაი თუ გერმანიის ჯარების გაყვანის შემდეგ იქ ბოლშევიკური ჯარები შევიდნენო და გადაუწყვეტიათ საერთაშორისო შერეულ რაზმის შედგენა და ბალტიის პროვინციებში ჩაყენება და რომ ბოლშევიკებს ამ მხრით არავინ არ შეაწუხოს, ეს სჩანს, სხვათა შორის იქიდანაც, რომ სწორეთ პარლამენტარულ წყობილების შემოღების შემდეგ იქნა ბერლინიდან გაძევებული ბოლშევიკი იოფფე და მისი კომპანია. სხვანაირათ არც შეიძლება. რუსეთში დღეს ორი თვალსაჩინო ძალაა: ერთი რეაქციონური ალექსეევ-დენიკინის ტიპის, ხოლო მეორე ანარქისტულ-რევოლიუციონური ლენინის მეთაურობით. და თუ რამდენათ ანარქისტულია ბოლშევიკური მიმდინარეობა ეს სჩანს იქიდან, რომ ლენინმა რენეგატის სახელით მონათლა გერმანიის სოც.-დემოკრატიის ერთი ბელადთაგანი—მხცოვანი კარლ კაუცკი.

ცხადია, რუსეთი ამა თუ იმ სახით უცხო სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ მოჰყვება. და ეს გარემოება გვავალებს ჩვენ, რომ ყოველივე ღონე ვიღონოთ, რათა არ დაირღვეს ჩვენში დემოკრატიული წეს-რიგი და ანარქიამ არ მოშალოს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ორგანიზმი.

პარტიული ყრილობის გახსნის გამო

11 ნოემბერს გაიხსნა სოც.-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა. იმ საერთაშორისო და შინაურ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ ვცხოვრობთ, ყრილობის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

უკანასკნელ ყრილობის შემდეგ ბევრი ისეთი რამ მოხდა, რასაც წარსული წლის ყრილობა სრულებით არ მოელოდა: სხვა რამ რომ არ მოვიხსენიოთ, ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში მოხდა ისეთი დიდი ცვლილება, როგორიც არის მისი რუსეთიდან ჩამოშორება და მისი დანაწილება სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკათ. ამიერ-კავკასიის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომლის მოქმედება ამიერ-კავკასიის მთელს სივრცეს გასწვდებოდა, ამ დანაწილების შემდეგ მოექცა სამ სახელმწიფოს საზღვრებში, მისი მოქმედება დღეს სწვდება სამს ისეთს სახელმწიფოს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც შინაური ცხოვრების პირობებით, ისე პოლიტიკური და სოციალური წყობილებით. ამიტომ, პირველი საკითხი, რომელიც პარტიის ყრილობამ უნდა გადასჭრას, მდგომარეობს იმაში, თუ რა სახე უნდა მიიღოს თვით პარტიულმა ორგანიზაციამ დღეს, პოლიტიკურ პირობების შეცვლის გამო.

ყრილობამ უნდა გამოსთქვას თავისი მსჯავრი იმ მოქმედების გამო, რომელსაც მისი ხელმძღვანელი ორგანოები ეწეოდნენ წლის განმავლობაში. იმისთანა მოულოდნელმა ცვლილებამ, როგორიცაა საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის რესპუბლიკების დაარსება, ხელმძღვანელ ორგანიზაციებისაგან მოითხოვა თავისი საკუთარი ძალებით პოლიტიკურ ხაზის შემუშავება, ისეთი ხაზის, რომელიც უკანასკნელ პარტიულ ყრილობას არ ჰქონდა გათვალისწინებული. დღევანდელმა ყრილობამ უნდა დააფასოს პოლიტიკური ხაზი და ის ნაბიჯები, რომლებიც გადადგეს ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა, მოულოდნელ ამბების გამო; თუ ამ ხაზს და ამ ნაბიჯებს ყრილობა სწორათ მიიჩნევს, იგი მათ მოიწონებს და დაადასტურებს; თუ იგი შეცდომებს დაინახავს, აღნიშნავს და გაასწორებს.

იმ საქვეყნო ქარტეხილში, რომელიც დაიწყო ევროპაში, ძალიან ძნელი ხდება მტკიცე პოლიტიკურ ხაზის გამონახვა. საქვეყნო ომს მეომარ სახელმწიფოთა შორის ბოლო ეღება; მის ადგილს, როგორც სჩანს, ბევრ სახელმწიფოებში იჭერს შინაური ომი, კლასიური ბრძოლა. მსოფლიო ომისაგან გაყრუებული სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატი, რომელიც ზარბაზნების გრიალში ერთი-ერთმანეთის ხმას ვეღარ აწვდიდენ ერთი ქვეყნიდან მეორეში, დღეს ერკვევა, დღეს ერთმანეთის ისევ ყურს უგდებს, ერთმანეთს უთანხმდება და ისევ აღდგენს ძველს მთლიან ინტერნაციონალურ ორგანიზაციას. პარტიულ ყრილობამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი ინტერნაციონალის აღდგენის საქმეში.

მრავალი შინაური საკითხი იქნება ყრილობას გადასაჭრელი: მან უნდა აწონ-დაწონოს ჩვენი პარტიის სახელმწიფოებრივი მოქმედება, ჩვენი ახალგაზრდა პარლამენტის მუშაობა, მოქმედება იმ მთავრობისა, რომელსაც სათავეში ჩვენი პარტიის წარმომადგენლები უდგანან. მან უნდა იმსჯელოს იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც გადადგმულია მუშათა საკითხში, აგრარულ საკითხში; მან უნდა მოაწესრიგოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხი, მან უნდა უჩვენოს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციებს, რანაირი ურთიერთობაა საჭირო სხვადასხვა პარტიებთან.

11 ნოემბრის სხდომამ, რომელზედაც დაყენებული იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რა ენაზე იქნება მსჯელობა ყრილობაზე, უკვე გვიჩვენებს ყრილობის დიდ უმრავლესობის სულიერ განწყობილებას: ენის საკითხს ყრილობამ შეხედა არა იმ მხრივ, თუ რომელ ენას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელი ენა უნდა სარგებლობდეს მეტი უფლებით; მან ამ საკითხს შეხედა როგორც მიზანშეწონილობის საკითხს: რა ენაზე უფრო კარგათ წავა ყრილობის საქმიანობა? რა ენაზე უფრო ადვილად გაიგებს მოხსენებებს დიდი უმრავლესობა?—აი ერთად-ერთი კითხვა, რომელიც ყრილობას აინტერესებდა. და რადგანაც დელეგატთა დიდი რიცხვი, მეტადრე პროვინციიდან ჩამოსულები, თავისუფლად ვერ გაიგებენ რუსულ ენაზე ნალაპარაკევს, ყრილობამ გადასწყვიტა, მოხსენება ქართულ ენაზე იყოს და მოხსენებების თეზისები რუსულ ენაზე დაურიგდეს იმ არა ქართველ ამხანაგებს, რომელნიც ქართულ ენაზე მოხსენებებს ვერ გაიგებენ. კამათი იქნება ორივე ენაზე, იმისდა მიხედვით, თუ რომელზე უფრო ეხერხება ლაპარაკი ამა თუ იმ დელეგატს.

ინტერნაციონალური ნაბიჯის გადადგმით დაიწყო ყრილობამ თავისი საქმიანობა. ეჭვი არ არის, ინტერნაციონალურ გზას არ ასცდება სხვა საკითხების გადაწყვეტაშიც.

მართლა გულწრფელია თქვენი „ღრმა მწუხარება"?

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ჩვენ დავბეჭდეთ საორშაბათო „სოციალ-დემოკრატის" წერილი. რედაქცია „ღრმა მწუხარებას" გამოსთქვამს იმის გამო, რომ მან მოათავსა ცნობა საქართველოს მთავრობის მიერ ლტოლვილთა ახალქალაქის მაზრაში არ დაშვების შესახებ". საინტერესოა ის, თუ როგორ იმართლებს თავს „სოციალ-დემოკრატის" რედაქცია: პარლამენტში მთავრობის განმარტების და სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის დეპეშის გამოქვეყნების შემდეგ, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს არის ბოროტი ცილისწამება „დაშნაკცუტიუნის" პარტიის მიერ, იმ მიზნით გავრცელებული, რომ ხელი შეუწყოს ერთა შორის შუღლის ჩამოგდებასო". ჩვენ პირდაპირ გვაოცებს „სოციალ-დემოკრატის" რედაქციის ეს განცხადება; რადგან მან მოათავსა არა უბრალო ცნობა, არამედ მთელი ორი წერილი, სადაც ხაზგასმით დაგმობილია ჩვენი მთავრობა, რომელმაც ვითომ სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცა ლტოლვილებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „სოციალ-დემოკრატის" იურისტებმა ძალიან კარგათ იციან, რომ ორმაგი ცილისწამებაა, რაცა გაგონილ ჭორზე ამაღელვებელ შინაარსის წერილებს სთხზავენ. „სოციალ-დემოკრატი" რომ გულწრფელი იყოს, ის დაგმობდა თავის აღვირ ახსნილ გამოლაშქრებას და მკითხველის წინაშე თავს არ მოიკატუნებდა: ცნობა გადმოვბეჭდეთო.

იმათგან, რომელნიც ჩვენ ამხანაგებს გვიწოდებენ, ჩვენ უფლება გვაქვს მეტი სიფრთხილე და წინდახედულობა მოვითხოვოთ. ისინი კი ცას დაეწიენ სიხარულისაგან და ჭორზე რამდენიმე წერილი აიგეს!

მერვე ყრილობა

ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

თფილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა მერვე ყრილობა. წინა დღით, 10 ნოემბერს, რადგანაც ყველა წარმომადგენლები არ იყვნენ ჩამოსულნი, მოხდა მხოლოდ კერძო თათბირები დელეგატთა.

11 ნოემბერს თვითმართველობის დარბაზში, შუადღისას თავი მოიყარეს დელეგატებმა. ამ პირველ კრებას ესწრება 72 დელეგატი, მათ შორის ორი კავარსკი—(ბუნდოველი) და რობლინი—(ბაქოდან), სათათბირო ხმით. 1 საათზე ყრილობას ხსნის საოლქო კომიტეტის წევრი—სილიბისტრო ჯიბლაძე.

სილ. ჯიბლაძე: ყრილობას გახსნილათ ვაცხადებ. ჩვენი უკანასკნელი ყრილობის შემდეგ, რაიაც 8—9 თვის განმავლობაში, იმდენი ცვლილებების მოწმე გავხდით, რამდენიც წარსულში ათეულობითაც არ ხდებოდა წლით.

დღეს მთელი კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილია დასავლეთისაკენ: იქ ისეთი კვანძი იკვრება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, არა თუ პატარა, არამედ—დიდ ერებისთვისაც კი. რუსულ ანდაზის თქმით—არ არის ბოროტება, რომელსაც თან სიკეთე არა სდევდეს. იმ საშინელებას, იმ საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტასაც, რომლის მოწმე ჩვენა ვართ, მოაქვს საქვეყნო დემოკრატიისათვის სიკეთე, თუმცა ძვირათ უჯდება მას ეს უკანასკნელი: სქელ და შავ ღრუბლებიდან გამოსჭვივის ნათელი იმედის სხივები.

სიბერის დროს ამით მაინც ბედნიერი ვარ. ჯერ კიდევ ჩვენ პირველ თავისუფალ ყრილობაზე, ამ ჩვენ უდიდეს დღესასწაულზე, შეძლება მქონდა მომელოცა თქვენთვის აღმოსავლეთის დესპოტიის დამხობა, დამხობა რუსეთის თვითმპყრობელობისა. ამ წამში ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლია მოგილოცოთ დაცემა დასავლეთის რეაქციის დედაბოძის, დამხობა პრუსიის იუნკერების ბატონობისა.

სრულდება სიტყვები კარლ მარქსისა: ხალხი, პროლეტარიატი და გლეხობა, ეს გაკაჟებული ბიჭუნა, არ მოატყუებინებს თავს არც გასუქებულ და არც გამხდარ მეფეს.

მე დავსძენ: ხალხი არა ბურჟუაზიას არ მოატყუებინებს თავს. ის ხალხი, რომელმაც თავის მხრებზე გადიტანა მთელი ომის სიმძიმე, ალაგმავს მილიონერებისა და მილიარდერების სიხარბესაც.

ის ლოზუნგი, რომელიც ქვეყანას ამცნო რუსეთის რევოლიუციამ, ჩვენი სახელოვანი ამხანაგების პირით, რომელნიც ამ რევოლიუციის სათავეში იდგნენ—ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო—დღეს ახლო არის განხორციელებასთან: ის გერმანიის დემოკრატიის ხელშია, ის უპყრია საერთაშორისო დემოკრატიის ავანგარდს. ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ შემდეგში ასეთ საარაკო ხოცვა ჟლეტას ადგილი აღარ ექნება და არა იმისთვის, რომ ეს ასე მინდა მე, ან თქვენ, არამედ იმიტომ, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება უკმაყოფილება კაპიტალისტური წყობილებისადმი, იზრდება და მაგრდება ძლიერება მუშათა კლასისა, რომელსაც აღარ სურს დარჩეს ბრმა იარაღად მჩაგვრელთა ხელში, მათი ზარბაზნების მსხვერპლად.

ეხლა თვალი გადავავლოთ ჩვენ შინაურ მდგომარეობას.

ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფამ, თუ, პირიქით, რუსეთის ბუნებრივ ნაწილებათ დაშლამ და საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს მეხი გავარდნილიყოს. ჩვენ წინაღმდეგ ამხედრდნენ არა მარტო ჩვენი მტრები, არამედ ჩვენი ამხანაგებიც, უმთავრესად ინტელიგენტურ წრეებიდან. რა მოხდა? ის, რომ პატარა და ყოველის მხრიდან მტერ მოცულმა ქვეყანამ თავის დაცვა მოინდომა და ამ მიზნით გაჰქონა თავისი ბედის ნავი საიმედო ნავთსაყუდარისკენ. ბედისა და გარემოებათა შეხვედრით—ასეთ საყუდრად აღმოჩნდა გერმანია. ყველასათვის აშკარაა, რომ იმ საყუდარში შეაფარეს თავი ჩვენი ქვეყნის სხვა ერებმაც. მაგრამ რით აიხსნება ის გაბოროტება ჩვენი ამხანაგებისა, რომელთაც თავდასხმის იარაღათ ამოარჩიეს ორგანო, რომელსაც სრულიად შეუფერებელი სახელი ჰქვია: „სოციალ-დემოკრატი".

არ ვიცი, როგორ უყურებთ ამას თქვენ, მაგრამ თვით მე ეს უდიდეს ტკივილს, უდიდეს მწუხარებას მაყენებს. არ შემიძლია არ ვსთქვა, რასაც ვფიქრობ, მაგრამ არ შემიძლია იმ ამხანაგებს, რომელნიც გვშორდებიან და მოგვშორდნენ კიდეც, არ ვესროლო, არ მოვაძახო: „თუ ჩვენმა პატარა ქვეყანამ კიდევ დაიცვა მცნებანი დიდი რევოლიუციისა, ეს იმიტომ, რომ ჩვენი პოლიტიკური ნაბიჯები სწორი იყო." მე ამაში ეჭვი არა მაქვს.

საქმეთა ვითარებამ თავს მოგვახვია სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ხელმძღვანელობა.

ამხანაგებო! როდესაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ასეთი საქმე ეკისრება სოციალისტურ პარტიას, მაშინ მან ან უნდა სოციალიზმის განხორციელებას მიჰყოს ხელი, ან არა დარჩეს ამ საზოგადოების ჩარჩოებში და გააკეთოს ის, რაც შესაძლებელია ასეთ პირობებში. პირველი გზა აირჩია ლენინის კომუნისტურმა პარტიამ. რუსეთის დაღლილ-დაქანცულ სხეულზე მან დაიწყო მეტად სახიფათო ექსპერიმენტები, რომელთაგანაც არსებულ პირობებში სიკეთე ვერ გამოვიდოდა და შედეგი ამისა უკვე ვიხილეთ: იგი გულშემზარავია. შეიძლება ვსთქვა, რომ იოანე მრისხანეს შემდეგ რუსეთს არაფერი უნახავს „წითელ არმიელებზე" უფრო საშინელი.

ჩვენი ქვეყნის მთავრობამ ნოე ჟორდანიასა და სხვა ნათელ ძალთა მეთაურობით მეორე გზა აირჩია: ის ესწრაფოდა აღმოეფხვრა ფეოდალური წესწყობილების ნაშთები და გაეტარებინა დემოკრატიული რეფორმები ისეთი დიდი მასშტაბით, რომელიც ჯერ არც ერთ ქვეყანას არ მოსწრებია. მაგრამ ეს რეფორმები ისე შორს ვერ წავიდოდა, რომ სავსებით დაეკმაყოფილებინა არაფრის მქონენი.

აქაა ჩვენი მთავრობის ტრაგედია. აქაა მისი აუცილებელი სისუსტეც. მე უნდა აღვნიშნო მისი მეორე სისუსტეც: მეტისმეტი ჰუმანობა და სირბილე. ხალხი კი მოითხოვს სიმკაცრეს რესპუბლიკის ყველა მტრების მიმართ.

არაფერი ისე არ რყვნის, როგორც შეგნება იმისა, რომ დანაშაული დაუსჯელი დარჩება. მაგრამ ჩვენი მთავრობის მიერ მიღებულ რეპრესიულ ზომებს მტრულად შეხვდნენ ჩვენი მტრები და ზოგიერთი „ულტრა სოციალისტები". მაგრამ ნუ თუ ხალხის მტრებს აქვთ უფლება დაგვახრჩონ და დაგვხვრიტონ, ბურჟუაზიასა და სპეკულიანტებს აქვთ უფლება შიმშილით ამოგვხოცონ და რევოლიუციონურ დემოკრატიას კი არ აქვს უფლება დაიცვას თავისი სისხლით მონაპოვარი თავისუფლება? მე ეს ვერ გამიგია. ჩვენი მინისტრები იმიტომ კი არ ებრძოდენ მეფის ბრძანებლობას, რომ მისი ადგილი დაეჭირათ. მაგრამ ისინი ყოველთვის აკეთებდენ თავის საქმეს. და თუმცა რევოლიუციამ მათ და მთელ ჩვენ პარტიასაც არა ჩვეულებრივი საქმე დააკისრა, ჩვენ ჯვარს მაინც ბოლომდე ვზიდავთ.

მხოლოდ ამისათვის საჭიროა, ჩვენი პარტია მაგრად იდგეს ფეხზე, ჩვენი ორგანიზაციები ყველგან საკმაოდ ძლიერი არ არის. არის ადგილები, სადაც ისინი სრულიადაც დანგრეულია. საუბედუროთ აღარ მაქვს შეძლება ჩამოვიარო პროვინციები და საკუთარი თვალით დავინახო მათი მდგომარეობა.

რომ რევოლიუცია გადაერჩინათ, ჩვენმა ამხანაგებმა დემოკრატიულ ორგანიზაციებს მიაშურეს. შექმნეს რიგ. წესრიგი და მართვა გამგეობა, მაგრამ საკუთარ კერაში ცეცხლი ჩაუნელდათ. ჩვენ კვლავ უნდა აღვადგინოთ ჩვენი ორგანიზაციები. ჩვენი ნაცადი ამხანაგები ამას შესძლებენ.

როდესაც რევ. ტალღები სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდენ, მაშინ მათ ყველანი თან მიჰყვებოდნენ. მაშინ ფეხზე დგებოდა საზოგადოებრივი ინსტიქტი, ეს იყო პოეზია, მაგრამ თურმე რევოლიუციაც მოჰბეზრდება კაცს. ეს გარემოება დროებითია. დაღლილობა გაჰქრება.

მინდა გავათავო სიტყვა, მაგრამ თვალწინ მიდგას აჩრდილი გიორგი პლეხანოვის, ამ მაღალ მცნებათა წმინდა მოციქულის. განა ყველამ არ იცის, რა სამსახური გაუწია მან ამიერ-კავკასიის დემოკრატიას? დღეს მარქსიზ-

მით ჰყოლიც გქონილია, მაგრამ ეს ასე არ იყო ამ 30—35 წლის წინედ. იმათ, ვისაც სურდა ხალხს მიშველებოდა გაიგეს, რომ არსებობს საშუალება, გამკურნებელი ყველა სენისა: არსებობს მეცნიერული სოციალიზმი.

მე მახსოვს, ჩვენი ამხანაგები თითქმის იზეპირებდენ მარქსს. მაგრამ ისინი ერთი ხელით ატარებდენ მარქსს და მეორეთი კი—მიხაილოვსკის. სჩანს მათ ვერ შესძლეს მარქსის წიგნებიდან ყველა მარგალიტების ამოკრეფა. პლეხანოვმა მარქსი დაგვამძლევია. ყოველი მისი წიგნაკი ჩვენთვის ღვთაებრივი გამოცხადება იყო.

დღეს პლეხანოვი აღარა გვყავს.

რევოლიუციამ გაუღო მას სამშობლოს კარები, მაგრამ მოლილმა დემოკრატიამ მას ზურგი შეაქცია და გაჰყვა მათ, ვინც მეტს დაჰპირდა.

პლეხანოვი ჯერ ზნეობრივად მოჰკლეს, შემდეგ ფიზიკურად. მაგრამ ის უკვდავია: რაც დარჩა მისგან, დიდხანს იქნება პროლეტარიატისთვის გზის მანათობელი. მაგრამ როდესაც მასწავლებლებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ მოვიგონო მისი ერთგული მოწაფეები, რომელთაც თავი დასდვეს მისი მცნების გასამარჯვებლად.

წამოდგომით პატივი ვსცეთ მათ.

იხლა კი შეუდგით საქმეს. გაუმარჯოს ჩვენს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

ნ. ჟორდანია. საოლქო კომიტეტის ყრილობის თავმჯდომარეთ ასახელებს ნ. ჩხეიძეს.

წინადადებას ყრილობა ერთხმად იღებს.

ნ. ჩხეიძე მადლობით არჩევისათვის. მაგრამ დამეხმარეთ და ჩემი საქმე სათანადოთ შემესრულებინოთ. ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობთ. მართალია, ჩვენ ცაზე თითქოს ინათა, მაგრამ ვერ ვიტყვი, როდის იყო სერიოზული ჩვენი მდგომარეობა: დღეს, თუ წარსულ ყრილობის დროს. ჩვენ ზავის წინ ვდგევართ, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი თითქოს თავისუფლად ამოსუნთქვა შეგვეძლოს. როგორი იქნება ზავი? ვინ იწინასწარმეტყველებს ამას. მართლა დემოკრატიული იქნება იგი? რას ვხედავთ ჩვენ: თითქოს ახალი ფრონტები იხსნება: ავსტრიაში ერთა შორის ბრძოლა ატყდა. როდესაც პეტროგრადის პროლეტარიატმა დიდი ლოზუნგით მიმართა ხალხებს: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე დაყრდნობილიო, ჩვენ დემაგოგია დაგვწამეს. მაგრამ ლოზუნგი პოპულიარული შეიქმნა და თუ ის არ განხორციელდა, მაშინ კვლავ გართულდება საერთაშორისო მდგომარეობა და მაშასადამე ჩვენიც.

ახლო ვართ ზავთან, მაგრამ კრიზისი ჯერ არ გათავებულა. განსაკუთრებით ეს კავკასიაზე ითქმის.

რაც ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე ინასკვება—შეიძლება საშინელ ომათ გამძვინვარდეს. მამშვიდებს ზავის იმედი, მაგრამ ღელვას იწვევს ჩემში ერთი ნიშნეული ფაქტი: და ტყუილად არ დაგვისვამს დღის წეს რიგში: ინტერნაციონალი. ჩვენ არასოდეს გვავიწყდება მთელი ქვეყნის მშრომელთა საერთო საქმე და საერთო ოჯახი. ჩვენ მუდამ ვსცდილობდით მჭიდრო კავშირი გვქონოდა მასთან, მაგრამ დღემდე პირობები არ გვაწყობდა ხელს. ეხლა კი მდგომარეობა გამოიცვალა და როდესაც ახლო მომავალში კვლავ მივალთ ჩვენ ძვირფას ძმებთან და ამხანაგებთან, ინტერნაციონალი იტყვის: კავკასიის სოციალ-დემოკრატიას მაღლა ეჭირა წითელი დროშაო.

ფრიად ყურადსაღები კითხვები გვიდგას დღის წეს რიგში. ასეთია აგრარული საკითხი. ის ვითომ რუსეთში გადაწყდა, მაგრამ ვაი ასეთ გადაწყვეტას. ჩვენში ეს საქმე ნელა, მაგრამ თანდათანობით უახლოვდება სათანადო გადაჭრას. ჩვენ დღის წეს რიგშია აგრეთვე მუშათა საკითხი: აქ ბევრი რამ გაკეთდა, ბევრიც უნდა გაკეთდეს. და თუ ყველაფერი ჯერ ვერ გაკეთებულა—მუშათა კლასი მაინც იტყვის ჩვენ მთავრობას: ჯერ თუ სავსებით ბედნიერები არა ვართ, ეს არა იმიტომ, თითქოს თქვენ ჩვენთვის ბედნიერება არა გწადდეთ.

დიდი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. იმედი მაქვს, თქვენი ტრადიცია და გამოცდილება ყოველგვარ სიძნელეს გადალახავს.

წინადადებას ვიძლევი აირჩიოთ პრეზიდიუმი. ყრილობა ერთხმად ირჩევს თავმჯდომარის ამხანაგებათ: დ. ონიაშვილს და ალ. ლომთათიძეს. მდივნებათ: გრ. ურატაძეს, ჭავჭანიძეს, ა. ციხარიძეს. სამანდატო კომისიაში აირჩიეს: ვ. წულაძე, გ. გურული და გ. სინაურიძე.

ირ. წერეთლის წინადადებით ყრილობა ადგენს, რომ მისი მუშაობა გაგრძელდეს 5 დღეს და ამ 5 დღეში უნდა განხილულ იქნას დღის წესრიგში დასმული ყველა კითხვები.

წინადადება შემოდის გაეგზავნოს დეპეშა გერმანიის სოც.-დემოკრატ. იქ განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყების გამო. დეპეშის გაგზავნა გადიდო ვითარების დაწვრილებით გამორკვევამდის.

ირ. წერეთელი. ყრილობის წევრთა კერძო თათბირმა სურვილი გამოსთქვა, რომ ამ კომპეტენტურმა კრებამ გამოსთქვას აზრი და საქმებით გაარკვიოს ჩვენი დამოკიდებულება ჯარსა და გვარდიასთან. ეს იმისთვისაცაა საჭირო, რომ დამოკიდებულება ყველგან ერთნაირი იყვეს. ყრილობა თანახმაა დაისვას ეს საკითხი დღის წესრიგში.

წინადადებაა ყრილობამ გამოსთქვას თავისი შეხედულება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისადმი. წინადადება უარყოფილ იქნა.

წინადადება შემოდის დაისვას კითხვა ადმინისტრაციის შესახებ. წინადადება უარყოფილია. წინადადებაა მოსმენილ იქნას მოხსენებანი ადგილებიდან. გადაწყდა პროვინციებიდან მოხსენებები მოსმენილ იქნას კერძო თათბირზე. ილაპარაკებს იქ ყველა მსურველი დელეგატი; მიუხედავათ ამისა დელეგატები წარუდგენენ საოლქო კომიტეტს მოკლე მოხსენებებს ადგილებიდან.

რა ენაზე იქნება ლაპარაკი ყრილობაზე? გადაწყდა ლაპარაკი იყვეს ქართულ და რუსულ ენაზე. ორივე ენაზე ითარგმნება ყველაფერი, რასაც უნდა კრენი ეყაროს.

მოხსენებები იქნება ქართულად. რუსულად გადაითარგმნება მათი რეზიუმე. ეს წინადადება მიღებულია 29 ხმით 12 ის წინააღმდეგ.

საოლქო კომიტეტის მოხსენება ორივე ენაზე გაკეთდება. თუ მომხსენებელი ვერ შესძლებს მოხსენების მეორე ენაზე წაკითხვას, მას სთარგმნის სხვა პირი. კამათი ორივე ენაზე იქნება. ორატორის სიტყვას შემდეგ, თუ მოითხოვენ, სიტყვა გადათარგმნილ იქნება მეორე ენაზე. რეზოლიუციები იქნება ორივე ენაზე.

სხდომის შემდეგ ინიშნება დრო და ალაგი შემდეგი სხდომებისა.

სხდომა იხურება ნაშუადღევის სრულ 4 საათზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

12 ნოემბერი

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. 11 ნოემბერი. ბრანდერბურგის სათადარიგო პოლკმა № 207 პოლკოვნიკ ხენიგსის წინამძღოლობით და საქსონიის 192 დივიზიის ჯარმა პოლკოვნიკ ფონ ზეზებაუს ხელმძღვანელობით თავი ისახელა მეუზის აღმოსავლეთით, სადაც ამერიკელთა ძლიერი იერიშები მოიგერია.

დროებითი ზავი.

დროებითი ზავის ჩამოგდების გამო დღეს შუადღისას მთელ ფრონტზე საომარი მოქმედება შეწყდა.

გერმანული პრესის ცნობები.

დღითი დღე უფრო ცხადდება, რომ რუსეთის ელჩს ბერლინში და გერმანიის რევოლიუციონურ წრეებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ და ერთად მოქმედებდნენ. რამოდენიმე ხნის წინად გერმანიის სხვა და სხვა ნაწილში გამოუშვეს ფურცლები, სადაც რევოლიუციისკენ მოუწოდებდნენ. ბერლინში მყოფმა შვეციის ელჩმა განაცხადა, რომ გაზეთების ცნობა, თითქოს შვეცია კისრულობს რუსეთის ინტერესების დაცვას გერმანიაში, სიმართლეს მოკლებულია.

შაბათს დილით, 9 ნოემბერს, სოციალისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ კაბინეტს სტოვებს. ამის შემდეგ სოციალისტებს და დამოუკიდებელ სოციალისტების კომიტეტს სხდომა ჰქონდათ რეიხსტაგში, სადაც გამოცხადდენ ბერლინში და მახლობელ ქალაქებში მდგარი სხვა და სხვა პოლკის დელეგატები, რომლებმაც განაცხადეს თავისი ერთგულება ახალ სახალხო მთავრობის წინაშე. გაზეთ „ფორვერტსის“ ბინაზე გამოცხადდა თოფებით შეიარაღებული სამასი კაცი იმ მოსაზრებით, რომ დაიცვან გაზეთი ძველი რეჟიმის მოტრფიალეთა თავდასხმის შესაძლებლობისაგან.

მოძრაობა ჯარში გამოიწვია პარლამენტის წევრის ველსის სიტყვამ. ალექსანდრეს პოლკას ეზოში მისი სიტყვის შემდეგ პოლკმა დიდძალ ოფიცრებთან ერთად დაადგინა: ზემოხსენებული დელეგაცია გაეგზავნა რეიხსტაგში. შუადღისას სოციალისტები: ებერტი და შეიდემანი ჯარ შემორტყმული სამხედრო ავტომობილით კანცლერთან გამგზავრენ და განუცხადეს, რომ გადაწყვეტილია ძალა-უფლება ხელში აიღონ მათ. რეიხსტაგში მოვიდა ახალი დელეგაცია 3000 მეზღვაურთაგან გამოგზავნილი, მეზღვაურებს კი შუადღის შემდეგ მოელიან ბერლინში. იუწყებიან, რომ ისინი მზად არიან ახალ სახალხო მთავრობას ერთგულება შეჰფიცონ. გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ფორვერტსის“ სასწრაფო გამოცემაში დაბეჭდილია შემდეგი მოწოდება საყოველთაო გაფიცვისათვის: ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დაადგინა, მოეხდინოს საყოველთაო გაფიცვა. მუშაობა ყველგან შეჩერებულია. მცხოვრებთ თავის საჭირო სურსათის მიწოდება უნდა გრძელდებოდეს. მეცხოვნე ჯარის უდიდესი ნაწილი ტყვიისმფრქვევლებით და ვინტოვკებით თავის ნებით მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს განკარგულებაში გადავიდა. მოძრაობას ხელმძღვანელობს გერმანიის სოც.-დემ. და დამოუკიდებელ სოც. დემ. პარტია. მუშებო და ჯარისკაცნო, ეცადეთ დაიცვათ სიმშვიდე და წესრიგი. გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო.

გერმანიის სხვადასხვა კუთხიდან იუწყებიან, რომ მოძრაობა ძლიერდება. საჩქაროდ აარსებენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს, რომელნიც უკვე არსებულ მთავრობასთან ერთად მოქმედებენ. 9 ნოემბერს ბერლინში მომხდარ ამბების გამო ნახევრად ოფიციალური დეპეშათა ბიურო მუშათა და ჯარისკაცთა კანტროლ ქვეშ შემდეგს იუწყება: „ამ დღეს, დილის 9 საათზე, დიდი ქარხნების მუშებმა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს. პროცესიას, რომელიც განაპირა უბნებიდან ცენტრისკენ გაემგზავრა წინ მიუძღოდა წითელი დროშა და შეიარაღებული ჯარისკაცები. პირველ პროცესია ბრუმენშტრასიდან მოვიდა თავდაპირველათ ჯარისკაცებს და ოფიცრებს მოსთხოვეს პაგონების და კოკარდების ახდა. უმრავლესობა ამ წინადადებას დაემორჩილა, ადგილი ჰქონდა მეზღვაურთა, ჯარისკაცთა და მუშების დაძმობილებას მრავალი მიდიოდა ჯარისკაცთა ბანაკში, სადაც ჯარისკაცები მათ აღფრთოვანებით ეგებებოდნენ.

ქარხნების სამხედრო გარნიზონებმა მუშებთან ერთად მიატოვეს საქარხნო დაწესებულებანი და ერთად მოქმედებდნენ. ბრბოს მხოლოდ ერთგან მოუხდა შეტაკება ჯართან, მსროლელთა გვარდიის გარნიზონთან, მაგრამ ამათგან მხოლოდ 2 აფიცერმა ისროლა. აქ მოკლულია 3 და დაჭრილია 1. დაწესებულებათა უმეტესობა ადვილად ჩაიგდეს ხელში, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ჯარი ხალხის მხარეზე გადავიდა. 1 საათზე რეიხსტაგში მოვიდა უმავთულო ტელეგრაფის გაფიცული მუშათა პროცესია. მსროლელთა რაზმმა დაიჭირა შესავალი, რომლის წინ ბრბო მოგროვდა. რეიხსტაგის წევრმა შეიდემანმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: იმპერატორი და კრონპრინცი ტახტიდან გადადგენ. დინასტია დამხობილია. ეს გერმანიის ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებაა. ებერტს დაევალა მთავრობის შედგენა, სადაც შევლენ ყველა სოციალდემოკრატიულ პარტიიდან. მხოლოდ მთავრობის განკარგულებათ აქვს ძალა, რომელიც ებერტის ხელმოწერილია. სამხედრო მინისტრი მხოლოდ იმ განკარგულებას უნდა ასრულებდეს, რომელზედაც სოც.-დემ. კომისარს უწერია ხელი. შეიდემანმა მოუწოდა ხალხს წესიერება დაიცვან და გაუგებრობა აიცილონ თავიდან. ავტომობილიდან ილაპარაკეს პარლამენტის წევრებმა და რამოდენიმე ჯარისკაცმა. გვარდიის ბატალიონის აფიცერმა განაცხადა, რომ აფიცრობა ხალხის მხარეზეა. ლაპარაკის დროს ორატორებს ხალხი ტაშს უკრავდა და ოვაციას უმართავდა.

კანცლერ ებერტმა შემდეგი მოწოდება გამოუშვა: „ახალმა მთავრობამ თავის თავზე მიიღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე, რათა გერმანიის ხალხი დაიცვას სამოქალაქო ომისა და შიმშილისაგან და ცხოვრებაში გაატაროს თვითგამორკვევის პრინციპები. ამ მიზანს მთავრობა იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ მას მხარს დაუჭერს ქალაქის და სოფლის ადმინისტრაცია. მე ვიცი, რომ უმრავლესობისთვის ძნელია ახალ მთავრობასთან მუშაობა, მაგრამ მე მივმართავ მათ სიყვარულს სამშობლოსადმი. თუ ამ სერიოზულ დროს შესწყდება საზოგადოებრივ ცხოვრების ორგანიზაცია, მაშინ გერმანიაში გამეფდება ანარქია და საშინელი სიღარიბე. ამიტომ ჩემთან ერთად შემდეგშიაც დაგვხმარეთ ჩვენ ქვეყანას და აასრულეთ თქვენი მოვალეობანი. არა შიშის ქვეშ, არამედ სინიდისის ქვეშ ყველა თავის ადგილზე დარჩით, ვიდრე არ დადგება დრო, როდესაც მოვალეობა გაგვანთავისუფლებს.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ც. აღ. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი (გადმოცემულია ინგლისურ ენაზე). დასავლეთის ფრონტზე მებრძოლ მოკავშირე ჯარისკაცთ. ყველას, ყველას, ყველას. გერმანიაში რევოლიუციაა. პრუსიის მილიტარიზმი დაამხო არა იმპერიალისტურ მოკავშირეთა ზარბაზნებმა და ტანკებმა, არამედ გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა აჯანყებამ. იმპერატორ ვილჰელმი გადადგა და გერმანიის ხალხის ტყვეთ არის. ბერლინში ჯარისკაცებმა და მუშებმა იუნკრებს უფლება ჩამოართვეს და დაარსეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, ყველა დიდ პროვინციალურ ქალაქებში მუშები, ჯარისკაცები აჯანყდა და ძალა უფლება ხელში აიღო გერმანიის ფლოტი რევოლიუციის მხარეზეა და ანძებზე ინტერნაციონალურ სოციალიზმის წითელი დროშები აფრიალდეს. გამბურგის, კილის, ბრემენის, ვილჰელმს გაფენის და კუქსგაფენის ნავთსადგურებში მეზღვაურებმა დაითხოვეს ძველი მმართველები და მეზღვაურთა საბჭოს ხელმძღვანელობით ახალი დისციპლინა შემოიღეს. გერმანიის რევოლიუციონურმა ფლოტმა რადიო დეპეშები დაგზავნა, სადაც იუწყება, რომ ის რევოლიუციის მომხრეა. რევოლიუცია გერმანიის დასავლეთ ფრონტის ჯარშიაც გავრცელდა. ჯარისკაცნი აფიცრებს აღარ ემორჩილებიან. ცნობაა, რომ დაატყვევეს საიმპერატორო მთავრობის მიერ გაგზავნილი დელეგაცია და თვით დაიწყეს ფრანგ ჯარისკაცებთან ზავზე მოლაპარაკება. ცენტრალურ სახელმწიფოთა იმპერიალიზმი დაემხო. დარჩა მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოთა იმპერიალიზმი, რომელიც ცდილობს გაბატონდეს მთელ ქვეყანაზე. მოკავშირე სახელმწიფოს ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცნო. ომის გაგრძელებას ახლა მხოლოდ ერთი მიზანი ექნება, სახელდობრ, მოკავშირე კაპიტალიზმის გამარჯვების ტრიუმფი და გერმანიის თავისუფლების დამხობა. ომი ასეთ დროში არის განსაკუთრებით ომი ორ კლასს შორის, ომი ინტერნაციონალურ კაპიტალიზმისა და მუშათა შორის. ხალხი, რომელიც მხარს უმაგრებს ბურჟუაზიულ მთავრობას, უზრუნველ ჰყოფს მათ გამარჯვებას და ხალხზე ბატონობას. მოკავშირეთა ჯარის ამხანაგო ჯარისკაცებო! დაუყოვნებლივ უარი სთქვით იმპერიალიზმის სამსხვერპლოს წინაშე საკუთარ თავის მსხვერპლათ მიტანაზე. როდესაც ისინი სცდილობენ მუშათა კლასის შევიწროვებას, ნუ გადაიქცევით მათ იარაღათ. მოიმარჯვეთ იარაღი თქვენი ნამდვილი მტრის წინააღმდეგ, რომელიც თქვენ განადგურებას სცდილობს. კაპიტალისტური საზოგადოების საძირკველი შერყეულია. მთელი ქვეყნიერების მუშებს შეერთებული ძალებით შეუძლიათ კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლება. მოკავშირეთა ჯარის ამხანაგო ჯარისკაცნო, მიიღეთ რევოლიუციონურ რუსეთის და ცენტრალურ ევროპის მუშების გამოწვდილი ხელი. შეაკავშირეთ ძალები ჩვენი კლასის თავისუფლების დასაცავად. ძირს ომი! გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას. რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი.

დეპეშა

ცაგერი. ვესურვებთ ამხ. ნოე ჟორდანიას სიმხნევეს დემოკრატიის საკეთილდღეოთ. ჩვენც თქვენთან ვართ.

ლეჩხუმის მაზრის სოც.-დემოკრატ. კომიტეტი.

ახალი ამბები

ძეგვის ხიდი. გზათა მინისტრმა ტელეფონოგრამით შემდეგი აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს: მოგახსენებთ, რომ ძეგვის ხიდი იმ ზომამდე აღდგენილია, რომ მასზე განუწყვეტელი მოგზაურობა შეუფერხებლად შესაძლოა. გუშინ, 11 ნოემბერს, ხიდზე მშვიდობიანათ გავატარეთ 6 მატარებელი. რკინის ნაწილების საბოლოო შემაგრების საქმე ძლიერ ნაყოფიერად სწარმოებს.

◆ სოჭიდან სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა შემდეგი ცნობა მიიღო გუშინ: დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ ტუაპსეში დაკავებული ვალიკო ჯუღელი განთავისუფლებულ იქნა და მშვიდობიანათ დაბრუნდა სოჭში.

◆ **მთავრობაში.** 9 ნოემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: კავკასიის ერთა კონფერენციაზე დასასწრებლათ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლებად არჩეულ იქნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და გარეშე საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი.

— ნება მიეცეს ფინანსთა მინისტრს გადაწყვიტოს თბილისის ქალაქის ლომბარდის წესდების შეცვლისა იმ აზრით, რომ მასში ჩამატებულ იქნენ წესები შესახებ კერძო პირთაგან შეტანილების („ვკლადი“) ლომბარდის საალებ-მიმცემო საშუალებათა შესავსებათ.

— გაიხსნას ფინანსთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 9,050 მან. თბილისის სახაზინო პალატის მოსამსახურეთათვის საჭირო სალიკვიდაციო ხარჯების დასაფარავად.

— მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განათლების სამინისტროსთან ერთად მოახდინოს ხაშურისა და სურამის საზოგადოებათა შეთანხმება ხაშურის ქალთა გიმნაზიის ხაშურიდან სურამში გადატანის შესახებ.

— წინადადება მიეცეს სასკოლო კომისიას, რომ ხელახლად დანიშნოს სხდომა სამღვთო სჯულის სკოლებში სწავლების მოსპობის საკითხის გასარჩევად განათლების მინისტრის თანდასწრებით.

◆ **მკვლელობა.** 11 ნოემბერს საღამოს 11 საათზე 19 თებერვლის ქუჩაზე მუხრანის მოედანთან, ბოროტ-გამზრახველებმა ასტეხეს სროლა. იმ ადგილზე მილიციონერებმა იპოვნეს მოკლული მ. სარქისიანცი.

◆ **ქურდობა.** 11 ნოემბერს ღამით ბოროტ-გამზრახველებმა საგინძის მაღაზიიდან წაიღეს 150,000 მანეთის საქონელი. ეჭვით შეიპყრეს მისი მოწაფე ვ. გიორგობიანი.

◆ **კრება.** პარასკევს, 16 ნოემბერს შესდგება ყარაიაზზე გადასახლებულ პირთა კრება, სხვადასხვა საკითხების გასარჩევად. სთხოვენ ვინც პირველ რიგში და აგრეთვე ვინც მეორე რიგში ჩაეწერა, აუცილებლად დაესწრონ კრებას დღის 3 საათზე. ვინც არ გამოცხადდება ამორიცხულ იქნება საერთო სიიდან.

◆ **ლექცია.** დღეს, 13 ნოემბერს, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში, საღამოს 6 საათზე დანიშნულია მორიგი ლექცია ილ. ნაკაშიძის: „დასავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა“.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** რადგანაც ქუთაისის აგენტზე ის. კვიცარიძეზე გაზეთების ვალი 10,000 მ. ავიდა, ამიტომ იძულებული ვართ ხვალიდან გაზეთების გზავნა ქუთაისში შევსწყვიტოთ, რაც ძლიერ სამწუხაროთ მიგვაჩნია. მკითხველებს ვსთხოვთ თუ უნდათ უგაზეთოდ არ დარჩნენ, აგენტებს თავის დროზე (ე. ი. წინდაწინ) მისცენ გაზეთების ფული. აგრეთვე გაზეთი არ გაიგზავნება ხონს, რადგან ფული არ გამოგზავნა. კანტორა „განათლება“.

კრებები.

დღეს, 3 ნახ. საათზე ნაძალადევის თეატრში დანიშნულია კრება სახლების კომიტეტების წარმომადგენლებისა და მოქალაქეებისა. გასარჩევია, თუ როგორ უნდა მივიღოთ იაფ ფასიანი პური და როგორ განაწილდეს ის.

— დღეს, ნაშუადღევის 3 საათ. მე-6 სავაჟო გიმნაზიაში (ფოლის ქ. 3.) დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის და „ახალი კვალის“ სარედაქციო კოლეგიის არაჩვეულებრივი, სასწრაფო კრება. გასარჩევია ფრიად საჭირბოროტო კითხვები. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ გამოცხადდენ და ნუ დაიგვიანებენ.

—დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება სასოფლო კომისიის კრება.

სამხ. წესები თფილისში

ბრძანება

№ 1

თფილისის გენერალ გუბერნატორისა.

9 ნოემბერი, 1918 წ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით ამა წლის 8 ნოემბრიდან № 43, ქ თფილისში და მის მიდამოებში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

თფილისის გენერალ გუბერნატორათ, მთელი თავისი უფლებებით დანიშნული ვარ მე.

რკინის გზა, ნავთლუღიდან დიდუბემდე, გენერალ-გუბერნატორ ყარალაშვილის განკარგულებაში რჩება, მაგრამ თუ რაიმე საომარი მოქმედება დაიწყო დასახელებულ გზაზე, უკანასკნელი გადმოდის ჩემს განკარგულებაში.

ზემოთ მოყვანილ ზომების გამომწვევი მიზეზები მთავრობას საკმაოდ ჰქონდა განმარტებული 8 ნოემბრის ბრძანებაში. როგორც სჩანს, აწარმოებენ სიტყვიერსა და წერილობითი აგიტაციას საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი მთავრობისა და არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ.

აგიტაციის უმახლობელესი მიზანია გამოიწვიონ ანარქია, ძმათა შორის ჟლეტა, კონტრ რევოლიუციონური გამოსვლა, რომ გარეშე ძალა ჩაერიოს საქმეში.

რომ ასეთი გამოსვლები და წესიერების დარღვევა ქალაქსა და მის მიდამოებში არ მოხდეს, მოუწოდებ ქალაქის მცხოვრებთ დაიცვან სრული მშვიდობიანობა და დარწმუნდენ იმაში, რომ ცოტათი მაინც სამხედრო მოქმედების დაწყება არსებული წყობილების და ხალხის უზრუნველყოფის წინააღმდეგ, ვისი მხრივაც არ უნდა იყოს ის დაწყებული, სასტიკ სასჯელს შეხვდება.

იმედი მაქვს, რომ თფილისისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი დახმარებას გაუწევენ მთავრობისაგან მიღებულ ზომების განხორციელებას და უეჭველად დაემორჩილებიან მის კანონიერ მოთხოვნილებას და ნებას არ მისცემენ ბოროტმოქმედთ, რესპუბლიკის მტრებს, არეულობა შეიტანონ მცხოვრებთა ცხოვრებაში.

გენ. გუბერნატორის განცხადება.

ვაცხადებ ყველას საყურადღებოთ, რომ სამხედრო წესების კანონის თანახმად სამოქალაქო უწყების პირნი, რომელნიც ჯარში არ იმყოფებიან და იმ ადგილებში მყოფნი, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, სასამართლოს გადაეცემიან და დაისჯებიან სამხედრო წესის კანონით: 1) მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებისა და სახელმწიფოს ღალატისათვის, 2) განზრახ ცეცხლის წაკიდებისა ან განზრახ განადგურებისათვის, სამხედრო იარაღისა და საერთოდ იმ ქონების, რომელიც შეადგენს დაცვისა და თავდაცვისათვის გამოსადეგ მასალებს და აგრეთვე სურსათის და ფურაჟის გაუმჯობესებისათვის, 3) სამხედრო წესებ გამოცხადებულ ადგილებში, განზრახ წყალსადენების, ხიდების, ბოგირის, ჭების, [illegible] სხვა გადასავალ[illegible] საჭირო მასალების გაფუჭებისა და [illegible], 4) მთავრობისათვის სასარგებლო მოსამსახურეების: ტელეგრაფის, ტელეფონისა და სხვა მთავრობისათვის ცნობის გადასაცემი დაწესებულებათა მოსამსახურეების ზიანის მიყენებისათვის, 5) მოდარაჯე ან სამხედრო ყარაულზე დაცემისათვის, იარაღით სამხედრო ყარაულისა და მილიციის წინააღმდეგობის გაწევისათვის და აგრეთვე დარაჯისა და სამხედრო ყარაულის მკვლელობისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, სამხედრო-საველე სასამართლოს გადაეცემა საქმეები დაცემის, ყაჩაღობის, ქალაქში და მის მიდამოებში ყოველმხრივ 25 ვერსზე სროლისათვის. ამასთანავე სამხედრო საველე სასამართლოს გადავცემ ყველა იმ დამნაშავეთა საქმეებს, თუ ისინი, ჩემის შეხედულებით, მოითხოვენ განსაკუთრებულ რეპრესიებს. აქ არ ჩამოთვლილი სხვა კატეგორიების დანაშაულობებს, რომელთა შესახებ ცალკე იქნება განცხადება.

სავალდებულო დადგენილება.

აკრძალულია: 1) ყოველნაირი სასროლ იარაღის ტარება ყველასათვის, გარდა საქართველოს რესპუბლიკის აფიცრებისა და სამხედრო მოხელეებისა, რომლებიც სამსახურში იმყოფებიან, სახალხო გვარდიის წევრებისა, რომელთაც გვარდიის შტაბისაგან მოწმობა აქვთ, აგრეთვე იმ მოსამსახურეებისა, რომელთაც სამსახურის გამო მიცემული აქვთ იარაღი.

ყველა საზოგადო ორგანიზაციები და კერძო პირები, ზემოთ მოყვანილთა გამოკლებით, ვალდებულნი არიან, ამ სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებიდან 24 საათში ჩააბარონ ყველა იარაღები საკომენდანტოს სამმართველოში (გოლოვინის პროსპ. № 7).

შენიშვნა 1. აფიცრებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამსახურში იმყოფებიან, უფლება აქვთ ჰქონდეთ ერთი ვინტოვკა და ერთი რევოლვერი.

შენიშვნა 2. მთავრობისა და საზოგადო დაწესებულება, რომელნიც აუცილებელ საჭიროთ სცნობენ მოსამსახურეთა შეიარაღებას, მილიციის უფროსს უნდა წარუდგინონ იმ პირთა სია, რომელთაც იარაღი უნდა მიეცეთ; ამ სიას მილიციის უფროსი საბოლოო დასკვნისათვის წარუდგენს გენერალ გუბერნატორს. კერძო პირთა შუამდგომლობა იარაღის ტარების ნებართვისათვის, უნდა წარედგინოს მილიციის უფროსს და მისი აზრის გამოთქმის შემდეგ, გენერალ-გუბერნატორს.

2) სასროლ იარაღის ყიდვა-გაყიდვა იმ პირებისაგან, რომელთაც იარაღის ნებართვა არა აქვთ.

3) ყოველნაირი სახელმწიფო ქონების ყიდვა გაყიდვა, თუ ამისათვის საჭირო ნებართვა არა აქვთ.

4) განსაკუთრებული სამხედრო ნიშნის ტარება იმ პირების გარდა, რომელიც ნაჩვენებია სამხედრო მინისტრის ბრძანებაში და გამოცხადებულია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 7 ნოემბრის 85 ნომერში, ე. ი. იმ პირთ, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მსახურებენ. გარეშე სახელმწიფოთა დიპლომატიური მისიის წარმომადგენლის წევრების, სამხედრო პირები, რომელნიც დასახელებულ მისიასთან იმყოფებიან და გერმანიის ჯარის წევრებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკაში მსახურებენ.

5) ყოველნაირი ყრილობები, მიტინგები, ქუჩაში შეკრება, მანიფესტაცია, ქუჩებში სიტყვის წარმოთქმა და სხვა.

შენიშვნა. ლექციებისა და რეფერატების კითხვა შეიძლება გენერალ გუბერნატორის ნებართვით, ყოველ კერძო შემთხვევაში.

6) ქალაქის და კერძო ელექტრონის სადგურები, ვალდებულნი არიან გაანათონ ქუჩები მთელი ღამე გათენებამდე და თუ რაიმე სადგურისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ქუჩების განათება არ მოხდა, ამის შესახებ უნდა შემატყობინონ მე.

7) ის პირნი, რომელნიც ამ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევენ ადმინისტრატიული წესით დატუსაღებულ იქნებიან 1—6 თვე ციხეში,—ჯარიმით გადახდევინებით 10,000 მანეთით და შემდეგ გადასახლებულ იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან.

თფილისისა და მის მიდამოების გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი **მაზნიაშვილი.**

ქალაქის საბჭო

11 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა და მოსამსახურეთა ჯამაგირების საკითხი.

ქალაქის თავის ამხანაგი კონიაშვილი: ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა სავალალოა. ესაა მიზეზი, რომ მოსამსახურეთ დროზე ვერ ვაძლევთ ჯამაგირებს. აგვისტოს ჯამაგირი მხოლოდ ეხ-

ლა მიიღეს მოსამსახურეებმა. 27 ოქტომბრის კრებაზე მოსამსახურეთ გადასწყვიტეს მიმართონ საბჭოს თხოვნით, რათა მან აცნობოს მოსამსახურეთა კომიტეტს, როდის შესძლებს ქალაქის თვითმართველობა სექტემბრის და ოქტომბრის ჯამაგირების დარიგებას. ხვალ გაიმართება მოსამსახურეთა დელეგატთა არაჩვეულებრივი კრება, სადაც ჯამაგირების საკითხი უნდა გადაწყდეს. ქალაქის გამგეობამ მიიღო რა ყველა ეს მხედველობაში, გამართა თათბირი რომელსაც დაესწრენ ფინანსიურ კომისიის წევრები და ქალაქის მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლები. თათბირზე გადასწყდა, საბჭომ აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა უკანასკნელმა 6 მილიონით დახმარება გაუწიოს ქალაქს სესხის სახით. ქალაქის გამგეობას შემოაქვს წინადადება საბჭოში, რათა უკანასკნელმა აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე სესხის შესახებ.

ხუდადოვი. (ს. რ.) კითხულობს, ერთგვარ პირობებში არიან ქალაქის მოსამსახურეები, თუ ჯამაგირს სხვა და სხვა დროს იღებენ.

კონიაშვილი განმარტავს, რომ მილიციას დავურიგეთ ჯამაგირები ოქტომბრისაც. ესევე არის ტრამვაის მოსამსახურეებში. ტრამვაის კასა ცალკე არსებობს, მას საქმის წარმოებაც საკუთარი აქვს და მოსამსახურენი ჯამაგირებს თავიანთ კასიდან იღებენ. ჩვენ აგრეთვე ვცდილობდით პირველ რიგში მილიციის მოთხოვნილება დაგვეკმაყოფილებინა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ თუ მილიციაში მოხდა დეზორგანიზაცია, ეს დამღუპველი იქნება და ცუდი შედეგები მოჰყვება.

ხუდადოვი. აღნიშნავს, რომ შეუძლებელია მოსამსახურეთა კატეგორიებათ დაყოფა. ამით აღვიძებთ შიგნით მოსამსახურეებში კლასთა ბრძოლას, ქმნით ანტაგონიზმს მოსამსახურეებში. საჭიროა მოსამსახურეების ერთგვარ პირობებში ჩაყენება. რაც შეეხება სესხს, ორატორის აზრით, თფილისს, როგორც ცენტრს და დედაქალაქს, სადაც იმყოფება ცენტრალური ორგანო სახელმწიფოსი, ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოს სახელმწიფომ.

პოპოვი. (ს. დ.) ბევრი სიმართლე აღნიშნა ხმოსანმა ხუდადოვმა, მაგრამ უნდა ისიც აღინიშნოს, რომ თვით მოსამსახურეებში არ არის შეგნება და იმის გრძნობა, რომ საჭიროა ერთგვარ პირობებში ყველა მოსამსახურეთა ჩაყენება. ორატორი იგონებს ახალწლის ღამეს, როდესაც ის გამგეობის წევრი იყო და პურის საცხობის მოსამსახურეებმა წარუდგინეს მოთხოვნილება, მოგვეცით დაუყოვნებლივ ჯამაგირები და თითოს გირ. ნახევარი შაქარიო. უკიდურის შემთხვევაში იმუქრებოდენ. ახალწლიწადს უპუროთ დაგტოვებთ ქალაქის მცხოვრებლებსო. ჩვენ ქალაქის გამგეობის წევრნი იძულებული ვიყავით ღამის ხუთ საათამდე დავრჩენილიყავით მოსამსახურეებთან, რათა ისინი დაგვეთანხმებინა, არ შეეწყვიტათ მუშაობა და უპუროდ არ დაეტოვებინათ ხალხი. ჩვენ ვზრუნავდით რა მოსამსახურეთა უფლების დაცვაზე, ამავე დროს არ უნდა დაგვევიწყნა ქალაქის მცხოვრებთა ინტერესებიც. არ დაგვენგრია მთელი საქალაქო მეურნეობა. ცხოვრება ჩვენზე ძლიერი გამოდგა და იძულებული ვიყავით კომპრომისზე წავსულიყავით. ჩვენ წინათაც აღვძარით მთავრობის წინაშე შუამდგომლობა და ვითხოვდით დახმარებას, თუმცა იმედი არ გვქონდა, რადგანაც ვიცოდით, რომ მთავრობას არ ჰქონდა საკმაო ფული. ასე ვშიშობ ეხლაც. რასაკვირველია, უნდა მიეცეს თფილისს, როგორც ცენტრს, დახმარება და თუ შუამდგომლობაში ასეთი მოტივები იქნება აღნიშნული, როგორიც მოიყვანა ხმოსანმა ხუდადოვმა, ამის საწინააღმდეგო მგონი არავის ექნებაო.

აპრილოვი (დაშნ.) უსაყვედურებს ქალაქის გამგეობას, რომ დღემდე იგი არ შეეცადა ეშოვნა სესხი და შეემსუბუქებინა მოსამსახურეთა გაჭირვებული მდგომარეობა.

ს. ხანდანოვი (კადეტი) ეთანხმება ხუდადოვს სესხის შესახებ და აღნიშნავს რომ ერთგვარ პირობებში უნდა იყვნენ მოსამსახურენი უფლება არ უნდა იქნეს შელახული რაიმე ძალის მიერ.

ბარათაშვილი (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ პრინციპიალურათ არავინ იქნება წინააღმდეგი, რომ ყველა მოსამსახურე ერთ და იმავე დროს ღებულობდეს ჯამაგირს. შექმნილია ისეთი პირობები, რომ ასეთი განსხვავება უნდა არსებობდესო. რაც შეეხება დახმარებას, რასაკვირველია, მთავრობამ ასეთი უნდა აღმოუჩინოს მუნიციპალიტეტსო.

პოპოვი. აღნიშნავს, რომ როდესაც მოსამსახურეთა მდგომარეობაზე ლაპარაკობენ ს. რ. მას ესმის, მხოლოდ როდესაც ამავე როლში გამოდიან კადეტები, მისთვის აშკარაა, რომ მათ ალაპარაკებს არა ქალაქის მოსამსახურეთა ინტერესები, არამედ სურთ ერთხელ კიდევ მოიტანონ იერიში ჩვენზეო. მათ იცოდენ და იციან ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა და ვეკითხებით: რაიმე გაუკეთებიათ კრიზისის თავიდან ასაცილებლათ?

მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე აცნობს საბჭოს, ქალაქის მოსამსახურეთა გაჭირვებულ მდგომარეობას. მოითხოვს რომ იქნას მიღებული ყოველივე ზომა, რომ მოსამსახურენი ასცდენ სიმშილს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ საბჭომ ამოირჩიოს დელეგაცია მთავრობასთან შუამდგომლობის აღსაძრავათ. პასუხი საჭიროა ხვალვე მივიღოთ, რადგანაც ხვალ საღამოს დანიშნულია მოსამსახურეთა დელეგატთა არაჩვეულებრივი კრება.

კონიაშვილი. განსხვავება მოსამსახურეთა შორის არსებობს და ამას ბევრი გასამართლებელი მიზეზები აქვს. ტრამვაი ჩვენ მივიღეთ ბელგიის საზოგადოებიდან. მათ ჰქონდათ საკუთარი საქმის წარმოება და ასევე დარჩა. ის ფული, რომელიც ტრამვაიდან შემოდის, იქვე რჩება და მოსამსახურეთა და სხვა და სხვა საჭიროებას ხმარდება. თქვენ გსურთ წაართვათ მათ ეს პრივილეგიები და ყველას თანასწორათ ურიგოთ ფული. ამით საქმეს არ ეშველება და გამოიწვევთ იმ კლასთა ბრძოლას, რომელსაც თქვენ ასე ერიდებით. უნდა აღვნიშნო, რომ ტრამვაის ფულით ჩვენ ხშირათ ვსარგებლობთ. ვიღებთ სესხის სახით და ხშირად სხვა და სხვა აუცილებელ საჭიროებისათვის. რაც შეეხება იმას, რომ სასურსათო განყოფილებას არ ჰქონდეს თავისი საკუთარი კასაო, ესეც მიზანშეუწონელი იქნებოდა. ის თანხა, რომელიც სასურსათო განყოფილებას აქვს, დაიხარჯებოდა ერთ თვეში და უკანასკნელი ველარ შეიძენდა საჭირო სურსათს. აქ ხუდადოვმა განაცხადა, რომ გაზეთში ეწერა ქალაქის მოსამსახურე სიმშილით მოკვდაო. ხმოსანი თავის სიტყვებს მოუფიქრებლათ არ უნდა ისროდეს. ხმოსნის ყოველივე სიტყვა დასაბუთებული უნდა იყოს, რათა შეცდომაში არ შეიყვანოს საზოგადოება. უნდა გაუწყოთ, რომ თუ მოსამსახურეს ოჯახში გაუხდა ვინმე ავათ, ანდა ისეთ პირობებში ჩავარდა, რომ სიმშილი მოელის, ჩვენ დაუყონებლივ ვაძლევთ ჯამაგირს, მხოლოდ პირველ შემთხვევაში ვთხოულობთ ექიმის მოწმობას, მეორე შემთხვევაში მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის მოწმობას. რაც შეეხება 6 მილიონ. სესხს, ეს თქვენ მიერ მიღებული იყო ხარჯთაღრიცხვის დროს. ეხლა ჩვენ შემოგვაქვს წინადადება, რომ აღიძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა 6 მილ. სესხის შესახებ.

მიიღეს წინადადება გამგეობისა. აირჩია დელეგაცია, რომელიც წარუდგება მთავრობას და სთხოვს ქალაქის საჭიროებისათვის სესხს.

არჩეულ იქნენ: სილ. ჯიბლაძე (ს. დ.) თათევოსიანი (დაშ.), ქარცივაძე (ს. რ.), წერავა (ნ. დ.), ხანდანოვი (კად.), გ. ნათაძე (ს. რ.), ბარათაშვილი (ს. ფ.) და ფინანსიურ განყოფილების გამგე ს. ფირუმოვი.

სახელმწიფო ენის შემოღება ქალაქის სასწავლებლებში.

კონიაშვილი მოახსენებს საბჭოს, რომ გადაწყვეტილია ქალაქის ყველა სკოლებში შემოღებულ იქნას სახელმწიფო ენის სწავლება. დაბალ სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლება დაიწყება მესამე განყოფილებიდან, პირველ დაწყებით სასწავლებელში—პირველ კლასიდანვე დაიწყება. კვირაში დაეთმობა ამ ენას ხუთი გაკვეთილი და დაგვიჯდება 4767 მ. 1 იანვრამდეო. ქალაქს არავითარი ხარჯი ზედმეტი არ დასჭირდება, რადგანაც ხარჯთ აღრიცხვიდან დარჩა ფული. გვიან იყვნენ მოწვეულნი ხატვის მასწავლებლები. და ეს გადადებული ფული მოხმარდება ამ ენის სწავლებასო. უკამათოდ მიიღეს ეს მოხსენება.

დახმარება ქალაქის მოსამსახურეებს.

ქალ. გამგეობის წევრი ჩირქეზიშვილი მოახსენებს, რომ ქალაქის მოსამსახურე პავლენკოს 25 წლის სამსახურის შესრულების გამო მოემატოს 10 პროც. ჯამაგირის. წინადადება მიიღეს.

ანალოგიური მოხსენებები ჩირქეზიშვილის ქალაქის მოსამსახურეთა დახმარების შესახებ, საბჭომ უკამათოდ მიიღო.

სათადარიგო მილიციის შესახებ.

მიიღეს უკამათოდ გამგეობის მოხსენება, რათა სათადარიგო მილიციონერებს იგივე ჯამაგირი ეძლეოდეთ, რაც ყველა მილიციონერებს აქვთ.

ქალაქის აფთიაქი.

გამგეობის წევრი ჩირქეზიშვილი მოახსენებს საბჭოს, რომ საჭიროა ქალაქის აფთიაქის ხარჯთ აღრიცხვაში შეტანილ იქნას დამატებითი ხარჯებიო.

იაკუბიანი. (დაშნ.) აღნიშნავს, რომ ქალაქის აფთიაქი იმის და მიუხედავათ, რომ იაფ ფასებში იღებს მედიკამენტებს ქალაქის კავშირის საწყობებიდან, ფასები მაინც ისეთივე არის დაწესებული წამლებზე, როგორც სხვა აფთიაქებში. და არამც თუ მოგება აქვს აფთიაქს, პირიქით, ზარალობს კიდეც. საჭიროა ამოირჩეს კომისია, რომელიც შეისწავლის ამ აფთიაქის საქმეს და გააკეთებს მოხსენებას საბჭოში. დაევალა ხალხის ჯანმრთელობის კომისიას ორ კვირის განმავლობაში შეისწავლოს, როგორ არის დაყენებული აფთიაქის საქმე და მოხსენება გააკეთოს ამის შესახებ საბჭოში.

სევდიანი ჰანგი.

დაჭრილმა გულმა წამოისხა სევდის მანტია,
ან კი უკეთესს სისხლის ზღვაში რას შეიძენდა?
ეს შავი აწმყოს ნაჩუქარი ბრილიანტია,
მაშინ ვიპოვე, როცა ძმა ძმას ჰკლავდა, იჭერდა,
და თან ვატარებ საშვენებლათ, თითქო ბანტია.

——

ახ, ნუ მიძრახავთ: თუ პოეტი მართლა სარკეა,—
მასში უნდა ჩნდეს უტყუარათ ცხოვრების სახე,
და ცხოვრება ხომ ხაშიშარი მოჭადრაკეა:
ხან იმედი გვფლობს, ხან კი გვახრჩობს კაეშნის მახე…
მე ვით გავფქვე მის მსახვრალ ხელს ასე რაკია?

ვ. რუხაძე.

მოწოდება

ახალციხის და ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მყოფ ჯარების უფროსათ დანიშნული ვარ მე დროებითი გენერალ-გუბერნატორის უფლებით.

ვაცნობებ რა ამას დასახელებულ მაზრების მცხოვრებთ, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს გავაფრთხილო ყველა, რომ ამ მაზრებში, ჩემს განკარგულებაში მყოფი, საქართველოს რესპუბლიკის ჯარების შემოსვლას მიზნად აქვს თავიდან აიცილოს უწესოება, რომელიც მოსალოდნელია მოჰყვეს დასახელებულ მაზრებში ოსმალთა ჯარის ევაკუაციას. მიზნად აქვს აგრეთვე ყაჩაღთა ბრბოების მოსპობა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ მტრული გამოსვლის აღმოფხვრა.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში ჯარების შემოსვლის შემდეგ, მე, ჩემის მხრივ, მივიღებ ყოველნაირ ზომებს, რომ ჯარი მართლაც გამოდგეს მშვიდობიანი მცხოვრებთა ინტერესების დამცველი და დაიფაროს მათი სიცოცხლე და ქონება არა სასურველი ელემენტებისაგან.

ყოველნაირი ძალადობისა და უკანონო მოქმედებისაგან ჯარის მხრივ, მშვიდობიანი მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნებიან მასთან თითოეული შეურაცყოფილი მიიღებს ჩემგან სრულ კმაყოფილებას და დამნაშავე დასჯილი იქნება არსებული კანონის სრული სისასტიკით. მუსულმანები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ არც ერთი მათგანი არ იქნება საქართველოს ჯარში გაწვეული; მათი სარწმუნოება და ჩვეულებები ხელშეუხებელი დარჩება და თვითეული მათგანის არსებობა დაცული იქნება არსებული კანონით.

ჩემის მხრივ ვსთხოვ მშვიდობიან მცხოვრებთ დამეხმარონ მშვიდობიანობისა და წესიერების დამყარებაში ჩემდამი რწმუნებულ მაზრებში და დახმარება აღმოუჩინონ ჩემდამი რწმუნებულ პირებს სოფლის არასაიმედო ნაწილში ბოროტების და დამნაშავეთა მოსასპობათ, ესე იგი მძარცველები, ქურდები, ყაჩაღები და ის პირნი, რომელნიც მტრულათ არიან განწყობილი ჩვენი მთავრობის მიმართ.

გენერალ-მაიორი მაყაშვილი.

ლტოლვილთა გარშემო

აწყურიდან რედაქციამ მთავრობის საგანგებო რწმუნებულის რუხაძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გაზეთ „ბორბას“ 8 ნოემბრის №-ში დაბეჭდილია, რომ ხუთი მუშათა წარმომადგენლები წარუდგნენ ნ. ნ. ჟორდანიას და პროტესტი განუცხადეს იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობა უკრძალავს ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთ სამშობლოში დაბრუნებასო. იმავე ნომერში მოთავსებულია სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლის პროტესტის შინაარსი, რომელიც მას გაუგზავნია კიევში საზოგადოებრივი აზრის ყურადსაღებად.

ეს ცნობები ყალბია და აზრადა აქვთ მხოლოდ იმ პროვოკაციის გავრცელება, თითქოს სომეხ-ლტოლვილთადმი საქართველოს მთავრობის განწყობილება მტრული ყოფილიყოს. ნამდვილად კი, მთავრობის წარმომადგენლები ლტოლვილთ არც ბაკურიანში და არც წალკაში არაფერში არ აბრკოლებდნენ. ჩვენ მრავალჯერ ვსთხოვეთ ოსმალეთის ადგილობრივ სარდლობას, რომ ლტოლვილნი ბორჯომის ტყეებში რომ იღუპებოდნენ გაეშვათ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით მუდამ უარს გვეუბნებოდენ. რომ ოსმალეთის სარდლობა არ იყო განწყობილი ლტოლვილთა ახალქალაქის მაზრაში დასაბრუნებლათ—ეს სჩანს თუნდა იმ ფაქტიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 6 ნოემბერს ბარალეთის მთებში, როდესაც ახალქალაქის მაზრაში მიმავალ ლტოვილებს ზარბაზნების ტყვიებით შეხვდენ, საცა მრავალი დახოცეს და დასჭრეს. ჩვენ არა თუ ხელს უშლიდით ლტოლვილების დაბრუნებას, არამედ—ყოველ დღე ვთხოვდით ოსმალეთის სარდლობას ლტოლვილების თავის სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ ოსმალები ძალით აფერხებდნენ ამას.

ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ რა დაშნაკელების მორიგ პროვოკაციის გამო, გთხოვთ ამცნოთ საზოგადოებას, რომ არავითარ შეზღუდვას მთავრობის წარმომადგენელთაგან ლტოლვილთა დასაბრუნებლათ, ადგილი არა ჰქონია, პირიქით, ჩვენ მიერ მიღებულია ყველა ზომები, რომ მათი დაბრუნება ჩქარა მოხდეს“.

საექიმო-სასანიტარო საქმეები

როგორც ყველამ ვიცით ქალაქად და სოფლად ინფლუენციის ეპიდემია მძვინვარებს. ამას მიემატა ამ ბოლო დროს ზოგიერთა ადგილებში გაჩენილი საოფლე-სახადი.

საერთოდ გარდამავალი ხანა—შემოდგომა—ბევრს ავათმყოფს იძლევა. ამიტომ ყველგან ავადმყოფთა რიცხვი აუარებელია. მიცვალებულთა რიცხვიც დიდია. ზოგიერთ სოფლებში დღეში 20—30 კაცი კვდება და სამი მეოთხედი სოფლისა წევს—ავათ არის. ბევრგან ოჯახები მთლად ამოწყვეტილა.

კახეთში ს ახალ-სოფელში რაღაც საეჭვო სენი გაჩენილა. იქაურის ექიმის აზრით, ავათმყოფობა ნიშნებით თურმე შავ-ჭირსა ჰგავს. ასეთი მდგომარეობა მოითხოვს ექიმს, წამალს, რაციონალურ მოვლა დახმარებას. პროვინციას კი ეს ყველაფერი არა აქვს. ის ქსენონებიც კი, რომლებიც ძველად მუშაობდნენ, ეხლა დაკეტილია. განსაცდელში ჩავარდნილი, შიშით მოცული ხალხი მოაშურებს ქ. თფილისს. იმედი აქვს აქ მიიღოს ყველაფერი, რაც მას ესაჭიროება, მაგ. აი რა ხდება დედა ქალაქში. მას უხდება ბევრი კანცელარიების ნახვა, სხვადასხვა თანამდებობის პირებთან ლაპარაკი და ბოლოს, ძალიან ხშირად, ხელცარიელი უკანვე დაბრუნება. მაგალითად, სამიოთხი დღის წინათ ჩამოვიდა ქ. სიღნაღიდან იქაური სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე. ჩამოიტანა გულშემზარავი ამბები მთელი მაზრის მცხოვრებთა სამკურნალო სასანიტარო მდგომარეობის შესახებ. თხოულობდა ექიმებს, ფერშლებს, წამალს, სკოლას დაავადებულ სოფელ-ქალაქისთვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი ვერ მიიღო-რა და დარწმუნებული ვართ ხელცარიელი წავა უკანვე. რად ხდება ეს? იმიტომ კი არა, რომ დაწესებულებები არ გვქონდეს, რომლებსაც დავალებული აქვთ საექიმო სასანიტარო საქმის უმეთაურონ და ჯეროვნად უპატრონონ მას! იმიტომ კი არა, რომ იმ დაწესებულებებში უცოდინარ და უნარ მოკლებულ ხალხს მოუყრია თავი! სრულიადაც არა! საექიმო-სასანიტარო საქმისთვის დაწესებულებები, სწორე რომ ვთქვათ, მომეტებულიც არის. ორ სამინისტროს აბარია ამ საქმის გამგეობა და მოწყობა, მაგრამ არა კეთდება. ხალხის სიკვდილ სიცოცხლის საქმე ერთ წერტილზედაა გაჩერებული და კანცელარიის ნომრებისთვის ვერ დაუხწევია თავი, იმიტომ, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე უსისტემოდ და უგეგმოდ არის დაყენებული. აი დასამტკიცებელი საბუთები: მთავრობამ მარიამობისთვეში შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილების სახით მთელი დაწესებულება დააარსა მკურნალობა-სანიტარიის გამგე მეთაურად. და ამავე დროს ჯერ არავის უფიქრია ძველი წეს წყობილების „სანაქებო ნაშთის“ საგუბ. სამკურნალოს გამგ. გაუქმება. გარდა ამისა, სხვა ძველი მოხელეები იმავე ტიპის დაწესებულებებში კიდევ არიან დარჩენილნი და ერთი-ერთმანეთს ხელს უშლიან საქმიანობაში. ხშირად პროვინციიდან გამოგზავნილი ქაღალდი ექიმის ან წამლების შესახებ შეცდომით მიდის ხან ერთ, ხან მეორე დაწესებულებაში, რომლებიც აქამდისინ უნდა მოსპობილიყვნენ, დაბოლოს ძლივ-ძლივს აღწევს საექიმო-სასანიტარო განყოფილებას. ასე გვიანდება საშური საქმე, რომლისთვისაც ზოგჯერ საათებსაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. მეორე მიზეზი საექიმო-სასანიტარო საქმის დაგვიანება მოუწყობლობისა გახლავთ შემდეგი: ეს ერთ-მთლიანი, სპეციალური საქმე ჯერ არ არის განსაზღვრულ ფარგლებში ჩაყენებული. მართვა-გამგეობის მხრივ, იგი გაწეწილ-გაყოფილია ორ სამინისტროში. უფლებრივი, ადმინისტრატიული ნაწილი, თითქოს, შინაგან საქმეთა მინისტრს აბარია, მაგრამ ხშირად სხვა სამინისტროც მაგ. მიწათა სამინისტრო ერევა ამ საქმეში, რადგანაც მას მჭიდრო კავშირი აქვს საექიმო-სასანიტარო საქმესთან იმ საწყობებით, რომლებიც მის გამგეობაშია.

მაგ. რომელიმე ერობას, ქინინს წამლეულობა უნდა მიიღოს. თხოვნა მიდის ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტ. მის ან საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში. უკანასკნელი დაწესებულება ამოწმებს თხოვნას, ნებას რთავს და უგზავნის მომარაგების კომიტეტის გამგეს მიწათა საქმის სამინისტროში. აი ამ თხოვნების გადაგზავნ გადმოგზავნაში, მიტან-მოტანაში ერთი სამინისტროს დაწესებულებიდან მეორე სამინისტროს დაწესებულებებში დიდი ძვირფასი დრო იკარგება და სამკურნალო საშური, ხანდახან წუთიერი მნიშვნელობის საქმე გვიანდება და ფერხდება.

მესამე მიზეზი საექიმო-სასანიტარო საქმის შემჩერებელი და დამგვიანებელი გახლავთ ზოგადი მიზეზი—საშინელი „კანცელიარიზმი“. ლამის ძველ ბიუროკრატიულ მთავრობას გადააჭარბოს ამ შემთხვევაში ზოგიერთმა ჩვენმა დაწესებულებამ. მაგ. აი ერთი ნიმუში: ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგს ბ. ხერხეულიძეს შინაგან საქმეთა სამინ. ქაღალდი მიუტანია 26 სექტემბერს 1918 წელს, რომლითაც სამინისტროს სთხოვდა სამკურნალო საქმის მოწყობას ლტოლვილთათვის. ამ ქაღალდმა ძლივს მიაღწია, როგორც გავიგეთ, საექიმო სასანიტარო განყოფილებას მხოლოდ 28 ოქტომბერს, 1918 წელს. ასე რომ, სერიოზულ საჭირო საქმის ქაღალდმა პორთფელებს და კანცელარიებს ერთი თვეს და ორი დღის განმავლობაში ძლივს დააღწია თავი. ამ დროს კი, ვინ იცის, რამდენ ლტოლვილს ამოუვიდა სული უექიმობით და უწამლობით.

რა ესაჭიროება საექიმო-სასანიტარო საქმეს, რომ იგი ღირსეულ ნიადაგზე დამყარდეს და ჯეროვნად დააკმაყოფილოს ცხოვრების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი? 1) საექიმო-სასანიტარო საქმეს უნდა ჰყავდეს ერთი მეთაური გამგე და არა რამდენიმე. ყველა ძველი ზედმეტი დაწესებულება უნდა გაუქმდეს. 2) საექიმო სასანიტარო საქმე არ უნდა იყოს დაქუცმაცებულ-განაწილებული რამდენიმე სამინისტროში და მათ კანცელარიებში. იგი უნდა ჩაბარდეს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის ერთ დაწესებულებას—საექიმო სასანიტარო განყოფილებას,—მთლიანად და სავსებით. წამლეულობის და სხვა სამკურნალო სასანიტარო ქონების საწყობებიც უნდა გადავიდეს იმავ სამინისტროში და საექიმო სასანიტარო განყოფილების პირდაპირ სრულ განკარგულებაში 3) უნდა მოისპოს გადაჭარბებული „კანცელიარიზმი“, როგორც საერთოდ ყველა და მომეტებულად „სიკვდილ-სიცოცხლის“ სამკურნალო საქმის დამღუპველი.

ექიმი ლი.

საფეიქრო წარმოება

„საქართველოს ეკონომისტის“ № 3 ში ქრონიკაში გადმოცემულია ცნობა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო გაცხარებით ამუშავებს საქართველოში საფეიქრო წარმოების მოწყობის საკითხს. ამ მიზნის განსახორციელებლად კიდეც შემდგარა განსაკუთრებული კომისია. მე ვფიქრობ, რომ ამ კომისიას იმაზედაც მოუხდება დაფიქრება, თუ სად უნდა მოეწყოს საქსოვი ფაბრიკა, რადგან წარმოების განვითარებისათვის სრულიადაც არ არის სულ ერთი თუ სად იქნება ასეთი ფაბრიკა. ამ წერილის მიზანია მიუთითოს ზევით მოხსენებულ კომისიას ერთ რაიონზე, რომელსაც, ჩემის აზრით, სხვა რაიონებთან შედარებით, უპირატესობა უნდა მიეცეს. ასეთ რაიონათ ჩვენ მიგვაჩნია ხონის რაიონი.

ალბათ კომისიის წევრებსაც მოეხსენება, რომ ხონის რაიონში მეტათ განვითარებულია შალების კუსტარული დამზადება იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ხონის ქალაქის გამგეობას მოეპოვება, თვეში ხონის ბაზარზე შემოდის და იყიდება 6000 ნაჭერ შალამდე (თვითეული შალი სიგრძით საშუალოთ 8 არშინია, განით კი 10—14 ვერშოკამდე); ამდენივე შალი გაიყიდება თვეში ხონის ირგვლივ მდებარე სოფლებშიც; სულ ხონის რაიონი თვეში იძლევა 12,000 ნაჭერ შალს. დაახლოვებით თითო შალს უნდება 4—5 გირ. მატყლი, მაშასადამე თვის განმავლობაში ხონის რაიონი დაამუშავებს არა ნაკლებ 15,000 ფუთ მატყლს. ეს უკანასკნელი გარემოება გვიჩვენებს, რომ ხონში უკვე არის თუ სულ არა, ნახევრათ მაინც მომზადებული საკმაო მუშა ხელი. მანუფაქტურულ წარმოებაში უმთავრესათ ქალებია ჩაბმული, ყველა ქვეყნებში, რადგან შრომის ეს დარგი უფრო შეეფერება ქალის ფიზიკურ აგებულებას. ქართველი ქალები საერთოდ გაურბიან თავიანთ ფიზიკურ ძალის გაქირავებას, რადგან ეს სასირცხოთ მიაჩნიათ. ხონის რაიონის ქალებმა კი დიდიხანია უკუ აგდეს ეს უსაფუძვლო და ყალბი სირცხვილი და შრომის ფერხულში ჩაებნენ. აქ ქალებს უცქერიან როგორც არა მარტო ისეთ ქმნილებას, რომელიც ქმართან და ბავშვის აკვანთან უნდა იყოს მიკერებული, არამედ როგორც ოჯახის ისეთ წევრს, რომელიც გვერდში უდგას მამაკაცს და გარდა ოჯახის მოვლისა, ფულიც შემოაქვს სახლში.

რაიონის არჩევის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნედლი მასალაც, მაგრამ ჩვენ რესპუბლიკაში ვერ მოვნახავთ ვერც ერთ რაიონს, სადაც ყველანაირი ნედლი მასალა ადგილობრივათ მოიპოვებოდეს: ზოგან მატყლია, ზოგან ბამბა და სხვა. ხონის რაიონი იძლევა წელიწადში 20,000 ნედლ პარკს; მატყლი და ბამბა ადგილობრივათ ნაკლებათ იშოვება, მაგრამ მათი მოზიდვა ძნელ საქმეს არ წარმოადგენს. სამაგიეროთ იოლათ შეიძლება დიდძალი ჰინჭრის მოყვანა; რომ ამ უკანასკნელისათვის ხონსა და მის რაიონში შესაფერისი ნიადაგი და პირობებია, ნათლად სჩანს იქიდან, რომ აქ ყოველგან თავისთავათ, დაუთესავათ და მოუვლელად იზრდება ძალიან მაღალი და ბევრიც. ჰინჭარი კი შეიძლება ქსოვილებისათვის ფართოთ გამოიყენონ. „საქართველოს ეკონომისტს“ (№ 3) მოჰყავს ცნობები გერმანულ გაზეთ „ფოსიშე ცაიტუნგ“-იდან ქსოვილებისათვის ბამბის მაგივრათ ჰინჭრის გამოყენების შესახებ. 4 კილოგრამი ჰინჭრის გამშრალი ღეროებიდან კეთდება $2^1/_4$—$2^1/_2$ მეტრი ქსოვილი (1 კილოგრამი უდრის 2,44 გირ., 1 მეტრი კი 1,4 არშინს). თან აღსანიშნავია ისიც, რომ ჰინჭრის ძაფის ნაქსოვი არაფრით არ ყოფილა უარესი სხვა მცენარეულობის ძაფით ნაქსოვზე. ხონის რაიონში კარგად მოდის კანაფიც; როგორც საქსოვი მასალა, ეს უკანასკნელიც გამოსადეგია. ამნაირათ, ჰინჭრის და კანაფის გამოყენება ჩვენ გვიხსნის უცხო ქვეყნიდან დიდძალი ნედლი მასალის შემოტანისაგან; ხოლო ხონის რაიონი ამგვარ ნედლ მასალას ბლომათ მოგვცემს. შესაძლოა აგრეთვე ხონის რაიონში სელიც იხეიროს.

მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე საჭირო შენობების აგების პირობები. ხონში შეიძლება შედარებით ძალიან იაფათ შეიძინო ქარხნებისათვის შესაფერი ადგილი, ხოლო რაც შეეხება სამშენებლო მასალას, ხონი ამ მხრივ ძალიან კარგ პირობებში იმყოფება: ბლომათ იშოვება აგური, ქვა, სილა, კირი და ხე-ტყე.

ერთად ერთი ნაკლი დასახელებულ რაიონისა ის არის, რომ იგი მოკლებულია რკინის გზას, მაგრამ ამ უკანასკნელის აქ გაყვანა ახლო მომავლის საქმეა; მანამდე კი კარგად ნაკეთები გზატკეცილები ქუთაისიდან სამტრედიამდე დიდათ არ შეაფერხებენ წარმოების აყვავების საქმეს.

ზედმეტი არ იქნება, აღვნიშნო, რომ ხონში საქსოვი ქარხნის აგების იდეა ამ ორი თვის წინათ დაებადა ადგილობრივ მოღვაწეთა ერთ ჯგუფს და შესაფერი ნაბიჯიც გადადგა. მიმდინარე წლის აგვისტოში აქ შესდგა კრება, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველთა ერთი ჯგუფი. კრებამ მოისმინა რა ინიციატიურ ჯგუფის მოხსენება, მოიწონა საქსოვ ქარხნის მოწყობის იდეა და აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ამ საქმის შესწავლა და სააქციონერო საზოგადოების მოწყობა.

თუ საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან შემდგარი კომისიაც გაიზიარებს იმ აზრს, რომ ხონის რაიონი შესაფერისია აღნიშნულ დარგის წარმოების მოსაწყობათ, იგი ხონელებ შორის ნახავს მხურვალე თანაგრძნობას და ყოველგვარ დახმარებას იმ სახით, რა სახითაც ამ უკანასკნელთ შეეძლებათ.

ხონის ქალაქის თავი ივ. ჭავჭანიძე.

ს.-დემ. პარტიაში

გურიის ს.-დ. მ. პ. კომიტეტის მორიგი კრება. 26 ოქტ. კრებას დაესწრნენ: კომიტეტის წევრები—რაიონებიდან 26 კაცი, საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ან. სალუქვაძე და სახ. გვარდიის მთავარი შტაბის წარმომადგენელი ამხ. მ. შათირიშვილი. თავმჯდომარეობს ამხ. ვიქ. ღლონტი. განსახილველია კითხვები: 1) პრეზიდიუმის მოხსენება; 2) საოლქო კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენება; 3) ენა პარლამენტში და სახელწოდება პარტიისა; 4) გვარდიის შესახებ; 5) საოლქო ყრილობაზე დელეგატების არჩევა; 6) კანდიდატები დამფუძნებელი კრებისათვის; 7) მოხსენება ერობის მუშაობის შესახებ; 8) ოზურგეთის დაცემის გამო ყოფილ ქალაქის გამგეობის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებათა საგამომძიებლო კომისიის მოხსენება; 9) ლანჩხუთის კომისიის მოხსენება; 10) საკონტროლო კომისიის არჩევა; 11) ვაზნარში სამოქალაქო პანაშვიდის მოწყობა; 12) შემოქმედის წარმომადგენლის მოხსენება; 13) პროპაგანდისტები და 14) სადგილ-მამულო გამგეობის წარმომადგენლის განცხადება.

პრეზიდიუმის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვიქ. ღლონტი, რომელიც აღნიშნავს პრეზიდიუმის მუშაობის სამ უმთავრეს მხარეს: რეორგანიზაციის დასრულებას, პარტიული მუშაობის გაძლიერებას, რაიონულ პროპაგანდისტების სა-

შეადგენით და ფინანსიური მხრით ზოგი ნაბიჯების გადადგმას, რომელიც გამოიხატება მუდმივი ფინანსიური კომისიის დაარსებაში, რომელიც სარისებო წყაროს გამონახვაზე ზრუნავს და კიდევაც შეიტანა ერთი წარმოდგენილიდან 2,500 მანეთი. მოხსენებელი აგრეთვე აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ საოლქო კომიტეტმა უარი უთხრა გურიის კომიტეტს ფულით დახმარებაზე პროპაგანდისტების შესანახად.

საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ან. სალუქვაძე თავის მოხსენების პირველ ნაწილში აცნობს კრებას ყველა იმ მოტივებს, რომლითაც ხელმძღვანელობდა საოლქო კომიტეტი, როდესაც სდგამდა ის ამა თუ იმ საპასუხისმგებლო ნაბიჯებს. მეორე ნაწილში ის ვრცლად განმარტავს საოლქო კომიტეტის შეხედულებას ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც დასმულია საოლქო ყრილობის დღის წესრიგში. მოხსენების პირველი ნაწილის შესახებ კრებას ერთ ხმით გამოაქვს შემდეგი დადგენილება: „კომიტეტი იწონებს მთელს პოლიტიკას საოლქო კომიტეტისას, როგორც დროს შესაფერისს და მიზან-შეწონილს და აღიარებს, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯები, საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში, იყო ერთად ერთი გზა, რომელმაც დღემდე შეგვინახა ჩვენს ერს ფიზიკური არსებობა და თავისუფლება“. მოხსენების მეორე ნაწილის შესახებ იმართება კამათი გამოყოფილად დასმული კითხვების წეს-რიგით. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებას გამოაქვს შემდეგი დადგენილებანი: „საქართველოს პარლამენტში სავალდებულო სახელმწიფო ენათ იქნას აღიარებული ქართული ენა, არა ქართველმა დეპუტატებმა კი, რომელთაც არ ეცოდინებათ ქართული ენა, უნდა ილაპარაკონ თავის დედა ენაზე“.—„ჩვენს პარტიას უნდა ეწოდოს საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია“.

გვარდიის შესახებ კრება ადგენს: „ვინაიდან მუდმივი გვარდიის არსებობა ხდის შეუძლებლად მუდმივი ჯარის შექმნას, ურომლისოდაც დღევანდელ პირობებში ჩვენს ნორჩ რესპ. დაღუპვა მოელის, ამიტომ კრება უარყოფს ასეთი ფორმით გვარდიის არსებობას და მას მიაჩნია საჭიროთ არსებობდეს სახალხო გვარდიის ერთი მთავარი შტაბი, რომელიც წინდაწინ გაწვრთნის ინსტრუქტორების საშუალებით საომარ ელემენტებს და დარაზმავს მათ რევოლიუციონურ გვარდიაში. რომელიც ვალდებული უნდა იყოს საერთო საფრთხის დროს ჯართან ერთად გამოვიდეს და დაიცვას ჩვენი რესპუბლიკა, ხოლო როცა ეს საფრთხე გაივლის, გვარდიაც უნდა იშლებოდეს და მისი წევრებიც უნდა უბრუნდებოდნენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმეებს.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრის ამხ. შათირიშვილის განცხადებაზე, რომელიც მოსალოდნელი საფრთხის გამო იწვევდა ამხანაგებს დაეხმარონ გურიაში საომარ პირების გამოკრებაში თფილისში გასაგზავნათ სახალხო გვარდიის შესაკრებათ, კრება ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს „ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ შტაბის წარმომადგენელს ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანათ“.

ისმება კითხვა საოლქო ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევის შესახებ. მოხსენებიდან ირკვევა, რომ გურიის ორგანიზაციებში (26 რაიონში) ითვლება 8000 მდე პარტიის წევრი. ზოგიერთ რაიონებში უკვე აურჩევიათ დელეგატები, თანახმად წესდების მე-12 მუხლისა, უმეტესობას კი დელეგაციის არჩევა მიუნდვია კომიტეტისათვის. კრება ირჩევს სამ დელეგატს: გ. მურვანიძეს, ს. წერეთელს და გრ. კოპალიანს; დანარჩენ მანდატებს კი აძლევს თავიანთ ამხანაგებს, რომელთა აირჩევა ენდო პრეზიდიუმს. არჩეულ დელეგატებს კრება ავალებს დაიცვან ყრილობაზე კომიტეტის შეხედულებანი როგორც თეორეტიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე.

საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის კრება ასახელებს აღნუსხობრივ პირთაგან 23 კანდიდატს, რომელთაგან სარაიკომიტეტო კომისიის მიერ არჩეული და წარმოდგენილი იქნა 9 კაცი, რომლებიც კრებამ დაამტკიცა. ამათ ერთხმად დაემატა კიდევ 6 ამხანაგი—ჩვენი სახელოვანი ლიდერები, რომლებიც გურიის რჩეული შვილები არიან. ამგვარათ 15 კანდიდატი წარედგინა გურიიდან საოლქო ყრილობას დასამტკიცებლათ და კანდიდატთა სიაში შესატანათ.

განსახილველი მოხსენება ოსმალეთის ოკუპაციაში შემოსვლის დროს ქალაქის გამგეობის მოქმედების შესახებ არჩეული საგამომძიებლო კომისიისა. ეს კომისია კომიტეტმა აირჩია ჯერ კიდევ ივნისში, როცა ბათუმი ჩვენი ქალ. გამგეობის გარშემო გავრცელებული ხმებისა და მცხოვრებთა ერთი ნაწილის უკმაყოფილების გამო ქალაქის გამგეობა საზოგადოებისგან [illegible]. კომისია ჰკითხულობს ვრცელ ოქმს, რომელიც შეიცავს სრულს და დასაბუთებულ პასუხს გამგეობის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე და დასკვნის: „ამგვარად, გაეცნო რა კომისია საქმეს ყოველ მხრივ და გაითვალისწინა რა ყველა მოწმეების ჩვენება და წერილობითი საბუთები, მივიდა შემდეგ დასკვნამდე: 1) საერთო არევ-დარევამ და თავდაცვის საქმის მოუწყობლობამ ქალაქის გარეშე საფრონტო გარეშე, ერთის მხრით და მეორეს მხრით მოულოდნელმა და განუწყვეტელმა შემოტევამ ქალ. ოზურგეთზე ოსმალთა რეგულიარული ჯარებისა, წინააღმდეგ მოლოდინისა და აგრეთვე გარნიზონის უფროსის პოლკ. წერეთლის ოფიციალური მოწოდებებისა, შექმნეს ოზურგეთში ისეთი პირობები, რომ ქალაქის გამგეობას არ შეეძლო წინასწარი ზომები მიეღო ქალაქის ევაკუაციისა და მცხოვრებთა გაფრთხილების შესახებ, და აგრეთვე დარჩენილიყო ქალაქში ჯარების შემოსვლის დროს. 2) გამგეობის უკან დაბრუნების შეჩერება ყოველთვის ხდებოდა ქალაქის საბჭოს დადგენილებისა და მთავრობის განკარგულების თანახმად და არა გამგეობის მიზეზით, მხოლოდ ოზურგეთის დაცემის პირველ დღეებში კი, ე. ი. სანამ მთავრობასა და თვითმართველობას შორის ოფიციალური მიწერ მოწერა დაიწყებოდა, გამგეობა ვერ შეუდგა თადარიგს, რომ ქალაქში უკან დაბრუნებულიყო!!. მოხსენების შემდეგ კრებამ მცირე შეკითხვებისა და კამათის შემდეგ მიიღო ამხ. კალანდაძის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

„გურიის სოც.-დემ. მუშ. პარტიის კომიტეტი საკმაოთ სთვლის მის მიერ არჩეულ საგამომძიებლო კომისიის ძიება მუშაობას და ადასტურებს კომისიის დასკვნას: ყოფილ ქალაქის თავს ამხ. ვიქტ. ღლონტს, მის მოადგილეს ამხ. მიხ. ხაბაშვილსა და გამგეობის წევრს ამხ. ილ. ლომაძეს ვერ სცნობს დამნაშავეთ და ანთავისუფლებს მათ ქალ. ოზურგეთის დაცემის გარშემო მათ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებისგან. ამ დადგენილების გაზეთებში გამოქვეყნებას კრება ავალებს პრეზიდიუმს.

ერობის გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვიქ. ღლონტი, რომელიც აღნიშნავს საორგანიზაციო მუშაობას, შუამდგომლობების აღძვრას მთავრობის წინაშე სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე, მიღებულ ზომებს ხოლერის წინააღმდეგ და სხვა. გამგეობის წევრი ამხ. წულაძე უმატებს, რომ მუშაობა ფერხდება, ვინაიდან ორი წევრი (თავმჯდომარე და ერთი წევრი) ჯერ კიდევ არ არიან თავის ადგილზე. კრება ისმენს მოხსენებას და გადადის შემდეგ მორიგ საკითხებზე.

კრება ისმენს აგრეთვე შემოქმედის სარაიონო კოლექტივის წარმომადგენლის ამხ. ჩხაიძის განცხადებას მაზრის კომისრის თანაშემწის ილ. ლ—ძის შემოქმედის კოლექტ. გამოძიების თანახმად გამართლების შესახებ, მის წინააღმდეგ ვინმე ჭანუყვაძის მიერ წაყენებულ ბრალდებისაგან. ამავე ჩხაიძის განცხადება, რომ შემოქმედის კოლექტივი ბრალდებებს უყენებს მაზრის კომისარს, გადაეცა გამომძიებელ კომისიას, რომელშიაც არჩეულ იქნენ: ს. მურვანიძე, ს. სურგულაძე და ბორიძე.

ს. ვაშნარში ოსმალებთან ბრძოლაში გმირულად დახოცილთა სამარე სასაფლაოზე სამოქალაქო პანაშვიდის მოწყობ კომისიას კრება უმატებს კიდევ ჩოხატაურის რაიონის წარმომადგენელს ამხ. მგელაძეს და ავალებს ფართოდ მოაწყოს ეს პანაშვიდი.

თანახმად ამხ. ს. მურვანიძის მოხსენებისა, კრება ავალებს ლანჩხუთსა და შუხუთის ორგანიზაციათა შორის არსებულ დავის გამომძიებელ კომისიას, დაასრულოს საქმის გამოძიება, რომ შემდეგ კრებას საშუალება ჰქონდეს განიხილოს ეს საკითხი.

პროპაგანდა-აგიტაციის შესახებ კრება ადგენს: ნაცვლად 4 პროპაგანდისტისა არჩეული იქნას ერთი ინსტრუქტორი გურიის ორგანიზაციებისათვის, რომლის მოწვევა და ჯამაგირის განსაზღვრა მიენდოს პრეზიდიუმს.

წინადადებას იმის შესახებ, რომ ყველა ის საკითხები, რომლებიც იძლევა ამხანაგების მიერ კომიტეტის დღის წეს რიგში, წინასწარ პრეზიდიუმში იხილებოდეს, კრება ღებულობს და ავალებს პრეზიდიუმს მათ ხელმძღვანელობას.

სადგილ-მამულო გამგეობის თავმჯდომარის მოხსენების თანახმათ, კრება ავალებს ორგანიზაციებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ გამგეობის სხვადასხვა ადგილებზე გურიის გარეშე ხელსაყრელ პირობებში გადასახლების მსურველთა შეკრება-რეგისტრაციის საქმეში.

უკანასკნელათ კრება, ირჩევს საკანტროლო კომისიაში: ამხ. ს. მელიქიშვილს, ივლ. ჭანტურიშვილს და ივ. კალანდაძეს.

ხუსეინ.

მუშათა შორის

პარიკმახერებში. ცუდი ხმა-ჩვეულების მუშები, აი ამ სიტყვებით შეიძლება დახასიათება თფ. პარიკმახერ-მუშათა უმრავლესობისა..

ბევრჯერ აღმინიშნავს „ერთობის“ ფურცლებზედ მათი უარყოფითი მხარეები. ეხლა მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთ „სანაქებო“ საქციელზე, რომელიც საკმაოთ გავრცელებულია ხსენებულ დარგის მუშათა შორის. საქმე შემდეგშია: როცა სახელოსნოები დაიკეტება—ან და დაკეტამდის მუშები დადიან ე. წ. „ვიზიტებზე“, დადიან სასტუმროებში, სახლებში და მუშაობენ განსაზღვრულ დროს ზევით. ამით არღვევენ საერთო დადგენილებას (დადგენილების თანახმად განსაზღვრულ დროს მერე „ვიზიტებზე“ სიარული აკრძალულია).

ეს კიდევ არაფერია: არიან ისეთები, რომლებიც, იმ დროს, როცა მაღაზია ღია არის, ანებებენ მუშაობას თავს, მიდიან სახლებში (ვიზიტი) სად მიაქვთ ის ფული, რომელსაც „ვიზიტზე“ იღებენ? კასაში? სახელოსნოში? არა! თავიანთ უძირო ჯიბეში! სამუშაოს თავის დანებება, გაპარვა, ჩუმათ წასვლა... სასტუმრო—სახლებში მუშაობა... ნამუშევრის მისაკუთრება!..

რა უნდა ვუწოდოთ მუშების ამგვარ საქციელს? განსაკუთრებით ამ „სანაქებო“ საქმეში სახელი გაითქვეს ვარშავის სეპ რიკმახერის ქალთა განყოფილების მომუშავეებმა.

კავშირმა დროზედ უნდა მიიღოს ზომები. დროა აილაგმოს ასეთი ვაჟ ბატონები.

რიხსვა.

პროვინცია

რაჭა. როგორც საზოგადოთ ყველგან, ამ ბოლო დროს რაჭაშიაც ისპანიურმა ავადმყოფობამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო და ხალხს მუსრს ავლებს. რაჭა, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს სხვა კუთხეებზე ყოველი საშუალების მხრით უფრო ჩამორჩენილია უგზოობის გამო. მთელ მაზრაში არსებობს ორი საავადმყოფო რამოდენიმე საწოლით და ორიც საფერშლო განყოფილება.

ვითხოვეთ კიდევ ერთი საავადმყოფო გაეხსნათ რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე დაბა ჭრებალოში, დავიქირავეთ სახლი, სანამ საკუთარ შენობას ავაგებდით, შეგვპირდენ გაგიხსნით საავადმყოფოსო, მაგრამ დღესაც არ ვიცით როგორ გადაწყდა იმის ბედი. ეს ახალი ავადმყოფობა ისე მოედვა სოფლებს და მძვინვარებს, რომ ოჯახში ავადმყოფების მომვლელიც აღარ დარჩა, რომ წყალი მაინც დაალევინოს ავადმყოფს, მარტო დასაფლავებას ველარ ასდიან. ზოგიერთ ოჯახში კვირაში ოთხი—ხუთი სული კვდება. ისე უწყალოდ ისპობიან საწყალი გლეხის მშრომელი ოჯახები.—საჭიროა ამ გარემოებას მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და საჭირო ზომები მიიღოს.

ვინაიდან დღეს საქართველო ომს არ აწარმოებს, შესაძლებელია დაიგზავნოს სოფლად რაც თავისუფალი სამხედრო ექიმები და ფერშლებია, დაეხმარონ მცხოვრებთ ამ უბედურ დროს. აგრეთვე დიდ სარგებლობას მოიტანს, რომ დაიბეჭდოს და დაიგზავნოს სოფლებში, რაც შეიძლება საჩქაროდ ბროშიურები ამ ახალი სენის შესახებ.

ამ ავადმყოფობის უცოდინარობა მეტად დიდ ავს სოფლის ხალხს. საჭიროა ბროშიურაში იქნეს აღწერილი მოკლეთ ავადმყოფობის პირველი ნიშნები, როგორ უნდა მოუარონ თავს პირველად, როგორია შემდეგი მიმდინარეობა ავადმყოფობისა და შემდეგ, თუ გადამდებია ეს ავადმყოფობა, როგორ უნდა გაუფრთხილდნენ. კიდევ ვიმეორებ, საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, თორემ გაწყდა სოფლები: გაწვეული ჯარისკაცები შინ დაბრუნდნენ ამ სენით და იხოცებიან. სკოლებში სწავლა შეწყდა, ხალხი იხოცება იმაზე მეტი, ვიდრე გარეშე მტერი გაწყვიტდა.

პატარა ონის საზოგადოების კომისარი

ვახილ გვენცაძე.

სუფსა. ადგილობრივმა ამხანაგებმა განვიზრახეთ გადმოგვეყვანა სუფსის ორკლასიან ნასწავლებელში მიმდინარე წლის დასაწყისიდან მასწავლებელი გ. გუჯაბიძე, რის შესახებ აღვძარით შესაფერი შუამდგომლობა მესამე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორის წინაშე. ამას წინათ ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვ. თოთიბაძემ პირადათ აცნობა სუფსელ ამხანაგებს, რომ გუჯაბიძე 1 ოქტომბრიდან ინსპექტორის განკარგულებით გადმოყვანილია სუფსის სკოლაშიო, რაც ჩვენ მივიღეთ სრულ კმაყოფილებით და კიდეც ვსთხოვეთ აღნიშნულ კანდიდატს შესდგომოდა მეცადინეობას ახალ ადგილზე. მაგრამ, საწუხაროთ, ეს დაპირება ცარიელ სიტყვათ დარჩა და გ. გუჯაბიძე სუფსის სკოლაში ოფიციალურად დანიშნული არ აღმოჩნდა. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ საზოგადოებაში სამართლიანი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თუ „განპარიანცების დროს“ კიდევ ადგილი ჰქონდა ასეთ გაუგებრობას, დღევანდელ ხანაში სრულიად უადგილოდ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ აქ გვალაპარაკებს საზოგადო საქმის ინტერესები. ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, ვისაც თვალი ხედავს აქვს და ყური სმენად; ვისაც შეუძლია ანგარიში გაუწიოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას. თუ სასწავლო მთავრობა შეიძლება ადვილად შეცდეს მასწავლებლის დაფასებაში, ადგილობრივი საზოგადოება ასეთი შეცთომისაგან, ყოველ შემთხვევაში, თავდაზღვეულია. ეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას გურიის მოწინავე დემოკრატიის შესახებ, რომელიც ძლიერ ღრმა ანალიზს უკეთებს თვითეული მასწავლებლის მოქმედებას და უტყუარი სასწორით აფასებს მის პედაგოგიურ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. თუ სამოსწავლო მთავრობა ავალებს მასწავლებელს ვიწრო პედაგოგიურ ფარგლებში მუშაობას, სამაგიეროდ არსებული პოლიტიკური მდგომარეობა იმისგან აშკარად მოითხოვს საზოგადო ასპარეზზე მოქმედებასაც. ამიტომ ყოველ მასწავლებელს იმდენად მეტი ფასი აქვს საზოგადოების თვალში, რამდენად ის პირნათლად აკმაყოფილებს ხალხის და სკოლის აღნიშნულ მოთხოვნილებებს. ასეთია ტენდენცია მიმდინარე პოლიტიკური მომენტისა.

ჩვენ გვრწამდა, რომ ხსენებული კანდიდატი ღირსეულად შეასრულებდა თავის დანიშნულებას; ის შეიტანდა სკოლაში ახალ პედაგოგიურ აზრებს და ამავე დროს არც საზოგადო ასპარეზზე მოქმედებას დაიზარებდა. ეს კი ჩვენის აზრით, ხელს—შეუწყობდა სწავლა აღზრდის საქმეს და საზოგადოების წინსვლას, რაც უნდა შეადგენდეს ყოველი პროგრესიული ადამიანის მთავარ მიზანს. ამასთან, ზედმეტად არ მიგვაჩნია შევაჩეროთ ცოტა ხანი მკითხველის ყურადღება გ. გუჯაბიძის პიროვნებაზე: 1) ხსენებული კანდიდატი მასწავლებელთა კოლეგიაში ირიცხება 12 წელი; 2) უკანასკნელ ადგილზე მსახურებს 11 ნახ. წელი; 3) აქვს შესაფერი ცენზი სახალხო მასწავლებლობის წოდებაზე; 4) ითვლება გამოცდილ მასწავლებლად, რისთვისაც სამართლიანად დაიმსახურა თავისი მოწაფეების სიყვარული და იმათი მშობლების ღრმა პატივისცემა; 5) არჩეულია გურიის სამაზრო ერობის ხმოსნად; 6) ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში ცნობილია, როგორც გულწრფელი საზოგადო მოღვაწე და დაუღალავი პარტიული მებრძოლი.

რა გადაეღობა წინ აღნიშნული მასწავლებლის სუფსის სკოლაში გადმოყვანას? რამ შეაფერხა ამ საქმის სისრულეში მოყვანა, თუ არა ვისმეს ბოროტმა ხელმა, რომელსაც ღირსეული მასწავლებლის სახელიც ისე აჯავრებს, როგორც ქურდს მთვარიანი ღამე? გამოვდივართ რა ამ შეხედულებიდან, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ფარდა აეხადოს იმ არა სასიამოვნო მოვლენას, რომელსაც სახელად ასეთი გაუგებრობა ეწოდება. საქმის გამორკვევა ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა კავშირის ხელმძღვანელმა უნდა იკისროს, რომ შემდეგში კიდევ არ განმეორდეს ასეთი შემთხვევა.

ამხ. მონადირიშვილი კ. ხვანიძე.

წერილები რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ოქტომბრის 25-ს, საღამოს 7 საათზე ჩემს წიგნის მაღაზიაში შემოვიდა ერთი ქართველი კაცი, იყიდა ქართული წიგნი და იქვე დარჩენოდა, საფულე ფულებით.

სახელი და გვარი მისი არ ვიცი, თუმცა სახეზე კი ვიცნობ.

რადგანაც აქამდე არ მოიკითხა, ამისათვის ვაცხადებ გაზეთებში და ვთხოვ მობრძანდეს და მიიღოს თავისი კუთვნილი საფულე და ფულები.

პატივისცემით სოხიკო მერკვილაძე.

პ. ს. ვსთხოვ ყველა ქართულ გაზეთების რედაქციას გადაბეჭდონ ეს წერილი.

ბატონო რედაქტორო! ნება მოგვეცით ჩვენ, მუშა მებადეებმა პასუხი გავსცეთ იმ წერილს, რომელიც გაზეთ „ერთობაში“ იყო 2 ნოემბერს მოთავსებული მუშა-მებადეების შესახებ. წერილის ავტორს მცირეწლოვანი მუშების გამოსარჩლება „იარლიკათ“ აქვს ნახმარი, თორემ ისე გულითადათ არ გამოესარჩლებოდა მამულის პატრონებისა და მათ შორის ჩარგალავას. ურჩევთ წერილის ავტორს ნუ იკისრებს ჩარგალავას დაცვას, რომელსაც სასამართლოში სიარულით გზა კარგათ აქვს გაკვლეული. და რაც შეეხება ჩვენ მდგომარეობას, ვსთხოვთ თავს ნუ იწუხებს. მებადეთა კავშირი მასზე უკეთ ზრუნავს, რომელმაც დაადგინა: უსაქმოთ დარჩენილ მუშებს ადგილი გამოუძებნოს, ერთი კვირის განმავლობაში, 87 კაცს ადგილი მისცეს, რაც გაზეთშიაც იყო მოთავსებული. რაც შეეხება მცირე წლოვანებს, თუ ავტორმა იცის ისეთი გულქვა მებადე, რომ თვითონ შაქრით სვამს ჩაის და ბიჭს კი უშაქროთ, მადლობელი ვიქნებით თუ მიგვითითებს ასეთ პიროვნებაზე. ჩვენმა კავშირმა დაამტკიცებინა წესდება. ახლო მომავალში შეუდგება მოქმედებას. წესდების მე 4 მუხლის თანახმათ განზრახულია გახსნას მოძრავი სკოლა, მოაწყოს საღამოს კურსები, სადაც წაიკითხვენ ლექციებს აგრარულ საკითხზე. კავშირმა, რომელსაც მიზნათ დაისახა მუშებში სწავლა განათლების შეტანა, მუშების გასაყვლეფათ არ იქნება დაარსებული. კავშირის წევრების უმეტესობა სოც.-დემოკრატები არიან, ძველი წეს წყობილების დროს მუშათა ინტერესების მედგარი დამცველნი.

იმედი გვაქვს ხსენებული წერილის ავტორი აღიარებს, რომ იგი სხვებმა შეცდომაში შეიყვანეს და გაზეთის საშუალებით აღიარებს თავის შეცდომას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ისევ თავის აზრს ადგია, მაშინ ვიწვევთ მას სამედიატორო სასამართლოში და ვთხოვთ შვიდი დღის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა, დაგვისახელოს მედიატორები.

ორთაჭალა. მებადეთა ბიურო. მუშათა და მოიჯარადრეთა კომისიის წევრები: ნიკო ბარამიძე, გერმანე ბარამიძე, დარისპან შაქარიანი, ვიქტორი ოჩიგავა, ნიკიფორე ვალმაკიძე, თ. გლიავა, ს. დანელია, ნიკოლოზ ნეფარიძე, პლატონ ჯაშკარიანი.

განცხადებანი

[illegible]

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას,
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:
ერო! ძლივს ეღირსე
განთავისუფლებას,
ძლივს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას!
კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო,
მის აღორძინებას
მტლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი .
შენვე უნდა სჭედო!
მაშ, შეუწყე ხელი
ქვეყნის აღყვავებას,
ბეჩავ შენთა ძმათა
სწავლა-განათლებას,
ევროპიულ ცოდნით,
აღზრდა-აღმაღლებას!
ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალს ისტორიას!

(3—3)

მიხეილის ქირ. სამკურნალო

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბეშო 10—11 ს., მ. ფ. მეალობლიშვილი ქირ. ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვახნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილ. 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეჩხაპუნება. 606 და 914 შეჩხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მეალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ხელმძღვანელობით.

კბილის სამკურნალო კაბინეტები
თედორე ხაჟვარელის ძე ცხომელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

რაჭა-ლეჩხუმის

დამხმარე საზოგადოების [illegible] ნახვა შეიძლება [illegible] და შაბათს დილის 11—12 [illegible] გრიბოედოვის ქუჩა № 19, [illegible] კონტროლის ბინა, გ. ჯაფარიძესთან. იქვე შეიძლება საზოგადოებაში წევრად ჩაწერა. ამავე ბინაზე ხდება საზოგადოების გამგეობის ჩვეულებრივი კრება ყოველ პარასკევს, საღამოს 7 საათზე.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის

პეპელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606-ის შეჩხაპუნება). ავათმყოფები მიიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

რენტგენისა და ელექტრონის სხივების სამკურნალო კაბინეტი.

წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე

დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.

ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭერილები რიგ ვარგზე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპ გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭაპების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე შორდანია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდ მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეჩხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი ნ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; აფიცრების ეკონომიური საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელ. № 5—77.

ექიმი
იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსეველის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექ. ქალი რ. ბ. ზილდო-ხაბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—13 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი

ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

ექიმი

გ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

ექიმი დ. ს. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა
ოთხშაბათს, 13 ნოემბერს,
მ. ი. ალეშკოს, ტ. ორლას და ვ. აბერეზნინის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება „ტოსკა“ ოპერა 3 მოქმედებათ.
ფასები ძლიერ დაწეულია. დასაწყისი საღ. 8 საათ. (ძველი დროით).
დირიჟორი სამოხუდი.

ანონსი: ხუთშაბათს 14 ნოემბერს „ვერტერი“.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.